ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N41

ქ.თბილისი 19 აპრილი, 2019 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
გოჩა თევდორაძე
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
თარაშ შურღაია
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მაკა ნასრაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გვანცა ნიკოლაიშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი ებანოიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ირაკლი ზარქუამ ისაუბრა ბერძნის ქუჩაზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით 3480 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სასტუმროს მშენებლობის შეჩერებაზე და განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, მერიასა და ბიზნესს შორის მოხდა შეთანხმება და მიღებული იქნა ოპტიმალური გადაწყვეტილება. თუმცა, ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან, ადგილი ჰქონდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას, კერძოდ, მათი თქმით, არქიტექტურის სამსახური უარს ამბობდა მშენებლობაზე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ეს იყო შუალედური დასკვნა, სადაც მითითებული იყო კონკრეტული ხარვეზი, რომლის გამოსწორების შემდეგ, კერძო მესაკუთრე შეძლებდა მშენებლობის განხორციელებას, რადგან არ არსებობდა არავითარი შემზღუდველი ფაქტორი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პიროვნებისთვის მიწის ნაკვეთების მიყიდვა ხორციელდებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, სხვადასხვა წლებში და ის ამზადებდა ერთიან პაკეტს სასტუმროს მშენებლობისთვის. ამ ეტაპზე წარმოდგენილია კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, რომლებიც შეფასებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და ქონებებს შორის სხვაობას, 1117000 ლარს, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, გადაიხდის ბიზნესი. წარმოდგენილი საკითხი არის რამდენიმე თვის წინ, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მონაცვლეობის ანალოგიური, რომელიც ასევე, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელდა.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილი ერთ-ერთი საკითხი მიმართულია თბილისის ბიბლიოთეკების თანამედროვე, შემეცნებით-საგანმანათლებლო ცენტრებად გარდაქმნისაკენ. მისი თქმით, ქალაქის ხელისუფლებამ, 2014 წლიდან განსაზღვრა სტრატეგიული პოლიტიკა, რომ განხორციელდებოდა ადილობრივი დაქვემდებარების საგანმანათლებლო და კულტურული ობიექტების მოდერნიზება და პოპულარიზაცია. ამ მიმართულებით გადაიდგა არაერთი ნაბიჯი, კერძოდ: 2015 წელს დაიწყო წიგნის ფონდის აღწერა; ელექტრონული კატალოგის დანერგვა; ბიბლიოთეკებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; გასულ წელს შეიქმნა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება, რომელიც ეფუძნება თანამედროვე, ევროპული ბიბლიოთეკის კონცეფციას, რომელიც ითვალისწინებს ბიბლიოთეკაში შემეცნებით, კულტურულ და საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. მისი თქმით, ეს არის თბილისელების მოთხოვნა და ამას მოწმობს გასულ წელს, მოსახლეობის საჭიროებებთან დაკავშირებით, ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც მულტიფუნქციური კომპექსების მიმართ გამოვლინდა დიდი დაინტერესება. თამარ ტალიაშვილმა აქვე, განაცხადა, რომ 24 აპრილს, 15^{00} საათზე, საკრებულოს შენობაში, განათლებისა და კულტურის მიმართულების დონორ ორგანიზაციებთან გაიმართება შეხვედრა, სადაც საუბარი იქნება დედაქალაქის კულტურის სტრატეგიასთან დაკავშირებით.

ლევან ხაბეიშვილის თქმით, თაბორის მთაზე რომ სასტუმრო აღარ აშენდება, რომელიც ნაწილობრივ ლანშაფტის ზონასაც მოიცავდა, რასაც თავად მესაკუთრე აღიარებს, ძალიან კარგია და მათ შორის, ოპოზიციის დამსახურებაცაა. თუმცა, საინტერესოა, ამასთან დაკავშირებით, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი საკითხისთვის მხარის დაჭერას რა არგუმენტებით აპირებენ საკრებულოს წევრები, რადგან კერძო მესაკუთრეს, სხვადასხვა დროს, 212000 ლარად შეძენილი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტი აძლევს 5600000 ლარის ქონებას. მისი თქმით, ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთი ფასი გაზრდილია 86-ჯერ და ქალაქში არ არსებობს მიწის ნაკვეთი, რომელზეც ფასი ასეთი შეფარდებით არის გაზრდილი. გარდა ამისა, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ვრცელდება

ლანშაფტური ზონა, სადაც მას არაფრის მშენებლობის უფლება არ ჰქონდა, თუმცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ გასცა სამშენებლო ნებართვა, რამაც ფასი დაადო აღნიშნულ მიწის ნაკვეთს და ამას ადასტურებს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაც. საუბრის ბოლოს, ლევან ხაბეიშვილმა მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს „დარწმუნებული ვარ, უმრავლესობის უმრავლესობას, არც მორალურად, არც საქმიანად არ გჯერათ იმის, რასაც ხელს აუწევთ და ჩემი თხოვნაა - ამას ნუ გააკეთებთ".

რევაზ სოხაძის თქმით, ლევან ხაბეიშვილს საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში, რადგან ისტორიული ლანდშაფტის ზონა ვრცელდება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გარკვეულ ნაწილზე. განაცხადა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე ზემოთ ხსენებული სასტუმროს მშენებლობის საკითხს მხარი დაუჭირა, რადგან, მისი აზრით, ამ ტერიტორიაზე მშენებლობა დასაშვებია. საკამათო შეიძლება იყოს არქიტექტურული ნაწილი და ის, თუ როგორი პროექტი უნდა განხორციელდეს, თუმცა როდესაც ქალაქი ამ მიწის ნაკვეთს დაიბრუნებს, მომავალში შესაძლებელია, საზოგადოების ჩართულობით, კვლავ დავუბრუნდეთ ამ საკითხს და ვიმსჯელოთ. მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით და მათ შორის, ოპოზიციის მოთხოვნაც იყო, რომ ამ ტერიტორიაზე მშენებლობა არ განვითარებულიყო. რაც შეეხება მიწის ნაკვეთების ღირებულებას, ფასს ადგენს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო და არა მერიის რომელიმე სამსახური და ის, თუ რა ფასად იყიდა კერძო მესაკუთრემ სხვადასხვა დროს მიწის ნაკვეთები, ამას კავშირი არ აქვს დღეს არსებულ შეფასებასთან.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა უპასუხოს ქალაქში არსებულ ყველა გამოწვევას და ამ მიმართულებით ძალიან ბევრი პროგრესული ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი საკითხი რჩება მოსაგვარებელი, რასაც ერთიანი ძალებით უნდა დაუპირისპირდნენ. მისი თქმით, ყოველთვის იყო და დღესაც არის ორი არჩევანი: შევცვალოთ ქალაქი უკეთესობისკენ ან ყველაფერი დარჩეს ისე, როგორც იყო. თბილისელების ინტერესებიდან გამომდინარე, ერთი თვის წინ მუნიციპალიტეტმა მიიღო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი - დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, წესრიგდება სატრანსპორტო პოლიტიკა - მაისის დასაწყისამდე თბილისში 100 ახალი ატვობუსი შემოვა და მომავალში სრულად ჩანაცვლდება ავტოპარკი, ტაქსების რეფორმა ექცევა ერთიან სისტემაში, მიმდინარეობს უპრეცედენტო მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტები, ბიბლიოთეკების სისტემის იურიდიული კუთხით მოსაწესრიგებლად განხორციელდა რეფორმა და სხვა. საუბრის ბოლოს, მიმართა კოლეგებს, რომ ყველას აქვს თავისუფალი პოლიტიკური არჩევანი, თუმცა ყველას უნდა აერთიანებდეს ერთი რამ - „ჩვენი ქალაქის უკეთესი ხვალინდელი დღე".

დავით უჯმაჯურიძემ განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება ოპოზიციის წარმომადგენლებს, რადგან არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, კერძო მესაკუთრეს ქონება ნაყიდი აქვს თუ ნაჩუქარი და ყველაფერს თავის კომერციული ფასი აქვს იმ მომენტისთვის, როდესაც ამის საჭიროება დგება. გარდა ამისა, შეფასება არის არა საკრებულოს, არამედ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პრეროგატივა.

ლევან ჟორჟოლიანმა გაიხსენა ისეთი შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრივი თუ დედაქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტსა და კერძო მესაკუთრეს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება, მათ შორის კუს ტბის ასახვევთან, „ოტიუმის" მიმდებარე ტერიტორიის მონაცვლეობა, რადგან მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი იყო შენარჩუნებულიყო ლანდშაფტი. მისი თქმით, როდესაც ქალაქი ამა თუ იმ საკითხს თვლის მიზანშეუწონლად და ზღუდავს კანონიერი მესაკუთრის უფლებას, პრაქტიკაში ცნობილია საკითხის გადაწყვეტის სამი ვარიანტი: პირველი - მოანაცვლო კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მეორე - კერძო მესაკუთრემ აჩუქოს მუნიციპალიტეტს მის საკუთრებაში არსებული ქონება და მესამე - მუნიციპალიტეტმა

წაართვას მესაკუთრეს ქონება. ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ირჩევს პირველ გზას, რომელიც არის სამართლებრივი.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ დღევანდელი საკრებულოს ხვედრია წინა პერიოდში დაშვებული შეცდომების გამოსწორება, როგორებიცაა: სასტუმრო „აჭარის“ წინ გაყიდული მოედანი, რომელმაც იმ პერიოდში გამოიწვია სატრანსპორტო კოლაფსი, სპორტის სასახლის გარშემო განხორციელებული „ურბოციდი“; ასათიანის N8-ში მიმდინარე მშენებლობა, სადაც მეპატრონეები „ურბანული შანტაჟის ენით“ ესაუბრებიან მუნიციპალიტეტს. მისი თქმით, დედაქალაქში ურბანული პოლიტიკა მიდის სწორი მიმართულებით იმ თვალსაზრისით, რომ ქალაქის ცენტრში აღარ აშენდეს ახალი მაღალსართულიანი შენობები და ქალაქის სხვადასხვა უბნებში განხორციელდეს გენ.გეგმასთან ჰარმონიზებული პროექტები.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ თაბორის მთაზე მდებარე მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილი რომ ლანდშაფტური ზონა იყო, ეს კარგად იცოდა კერძო მესაკუთრემ მისი შეძენისას და ისიც იცოდა, რომ ეს ტერიტორია წარმოადგენდა ისტორიული ქალაქის სახელმწიფო დაცვის ზონას. აღნიშნული, რა თქმა უნდა, იცოდნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრებმაც, თუმცა ამ ტერიტორიის ინტენსიური განაშენიანების პროექტს მაინც დაუჭირეს მხარი. მისი თქმით, ყველასთვის ცნობილია, თუ როგორ მოიპოვა კერძო მესაკუთრემ მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიც და მშენებლობის ნებართვაც და როდესაც საუბარია იმაზე, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებას ფასი აეწია, უნდა აღინიშნოს, რომ ფასის ზრდა მოხდა სწორედ ადმინისტრაციული საქმისწარმოებით.

ლევან ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მხრიდან იმ გადაწყვეტილებების გაკრიტიკება, რომლებიც მიღებული იყო მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, რადგან წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის ნაწილი, დაახლოებით 421 კვ.მ. კერძო მესაკუთრეს 2008 წელს გადაეცა სიმბოლურ ფასად, რაც ფაქტობრივად ჩუქებას ნიშნავს. გამოთქვა მოსაზრება, რომ დღევანდელ რეალობაში, კერძო მესაკუთრე ვერ მოახერხებდა თვითნებურად მიტაცებული მიწის ნაკვეთის ლეგალიზაციას იმ დოკუმენტაციით, რომლის საფუძველზეც მან ეს შეძლო 2008 წელს. აქედან გამომდინარე, ლევან ჯაფარიძემ ეჭვქვეშ დააყენა 2008 წელს მიღებული გადაწყვეტილება და აქვე განაცხადა, რომ მისი აზრით, კერძო მესაკუთრის მხრიდან მორალურადაც უხერხულია, ერთი ხელისუფლების დროს ნაჩუქარ მიწას დღეს რომ ამ ფასად ყიდის.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ ახალი გენ.გეგმით ძალიან ბევრ ადამიანს შეეზღუდა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განვითარების უფლება, რადგან მიჩნეული იქნა, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის აქამდე დაგეგმილი განვითარება. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს პროცესი, რომ ყველას, ვინც აღმოჩნდა ანალოგიურ სიტუაციაში ვთავაზობთ გამოსავალს ისე, რომ არ დაზარალდეს არც კერძო მესაკუთრის, არც ქალაქის და არც საზოგადოების ინტერესი. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ქონება საკუთრებაში გადაცემული იყო ლეგალიზების გზით თუ შეძენილი იქნა კონკრეტულ ნორმატიულ ფასად. დღეის მდგომარეობით ადამიანებს საკუთრებაში აქვთ გარკვეული ფასის მქონე ქონება და მონაცვლეობა ხდება იმავე ღირებულების ქონებაში, ხოლო წარმოდგენილ შემთხვევაში გვაქვს ფასთა სხვაობა, რასაც მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ აანაზღაურებს კერძო მესაკუთრე.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის მხოლოდ მცირედ ნაწილზე ვრცელდება ლანდშაფტური ზონა, ხოლო დანარჩენ ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3, რომლის პარამეტრებითაც იყო დაგეგმილი სამშენებლო განვითარება. თუმცა, მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა მიიღო მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის შესახებ გადაწყვეტილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2018 წლის ანგარიში";

მომხსენებელი: რამინა ბერაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „კომერციულ ბანკებში საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

5. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა" (ს/კ.: 202058520) ლიკვიდაციის თაობაზე";

მომხსენებელი: მაკა ნასრაშვილი

6. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.300.03.03.007; N01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მასივი-3, III მიკრორაიონის კორპუსი N319ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.010.001.01.024) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.087.02.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ.: N81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.006.006.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. N24-26-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.05.010.047) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაიფაზისთვის“ (ს/ნ.: 404553700) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. N51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.132.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის“ (ს/ნ.: 204861961) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ.N1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.066.011) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქერო“-სთვის (ს/ნ.: 416341300) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქ.N7-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.075.025) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ გავაშელისთვის (პ/ნ.: 01019062511) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ეგანოიძე

20. „ქალაქ თბილისში სოფელ დიდ ლილოში, საკადასტრო კოდი: N81.08.07.534 (33840 კვ.მ.) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

21. „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, შ.პ.ს „მწვანე ცენტრი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N314) ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ-2) შესაბამისი ობიექტებისგან შემდგარი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 თებერვლის N01/122 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

22. „ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N180, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

23. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა N6, N7, მარშალ გელოვანის გამზირი N23ბ, N27, N23, N23ა, N23ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, N01.10.10.025.036, N01.10.10.025.045, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.086), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულ - გამაჯანსაღებელი, სკოლა, ბაღი, კომერციული და დამხმარე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

24. „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, იპოლიტოვ - ივანოვის ქ.N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის N198 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გვანცა ნიკოლაიშვილი

25. „სსიპ ქალაქ თბილისის N218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელი: თამარ ტალიაშვილი

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2018 წლის ანგარიში“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რამინა ბერაძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ანგარიში ცნობის სახით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და დეტალურად, ციფრების მითითებით ისაუბრა 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებაზე, გადასახდელების და გრანტების შესრულების მაჩვენებლებზე, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე და არაფინანსურ აქტივებზე. ასევე, დეტალურად ჩამოთვალა ბიუჯეტის შესრულების და ხარჯვითი ნაწილის მაჩვენებლები ცალკეული პრიორიტეტების მიხედვით.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, როგორც შემოსავლის, ასევე ათვისების ნაწილში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები მუშაობენ გამართულად.

ლილე ლიპარტელიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება შემუშავდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდის დაფინანსების წესი და განისაზღვროს, ვინ და რა სახის დახმარებაზე შეძლებს მიმართოს სარეზერვო ფონდს, რათა სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული „მილიონერების დაფინანსება“.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ლილე ლიპარტელიანს, რომ მერის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება და მომავალშიც დაფინანსდება საჭიროების მქონე ნებისმიერი ადამიანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „კომერციულ ბანკებში საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ფინანსთა სამინისტროს ექნება შესაძლებლობა, რომ თბილისის ბიუჯეტს, გათვალისწინებული ტრანსფერის გარდა, დამატებით გამოუყოს კიდევ 12 მილიონი ლარი და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია საკრედიტო ხაზის ლიმიტის გაზრდა სწორედ ზემოთხსენებული თანხით.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ საკრედიტო ხაზის გაზრდა გამოწვეულია იმით, რომ დროულად მოხდეს ტენდერების გამოცხადება და საჭიროების შემთხვევაში, ტრანსფერის განხორციელებამდე, განსახორციელებელ პროექტებზე სამუშაოების დაწყება.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, თუ როდის მოხდება ტრანსფერით გათვალისწინებული თანხის გადმორიცხვა ცენტრალური ბიუჯეტიდან.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ტრანსფერის თანხის გარკვეული ნაწილი გადმოირიცხება ივლისში, ხოლო დარჩენილი ნაწილი - სავარაუდოდ, სექტემბერში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ტრანსპლანტაციის პროგრამაში, კერძოდ, 10000 ლარით იზრდება ღვიძლის ტრანსპლანტაციის თანადაფინანსება და გახდება 70000 ლარი; ასევე, დაავადებათა სკრინინგის პროგრამაში ჩართულ დაწესებულებებში, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტში, ბენეფიციარების რაოდენობა იზრდება და მიმწოდებელი ვალდებული იქნება ყოველთვიური მომსახურება 100 მოსარგებლის ნაცვლად, გაუწიოს 150 მოსარგებლეს.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მისასალმებელი და მხარდასაჭერია.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის თანადაფინანსებას ახორციელებს მუნიციპალიტეტი, თუმცა გადანერგვის შემდგომ, ძალიან მნიშვნელოვანია რეაბილიტაცია, რაც ასევე ძალიან დიდ თანხასთანაა დაკავშირებული და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ამ მიმართულებით ცვლილებების განხორციელება, რადგან თუ პაციენტს არ ექნება რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხა, შესაძლებელია ვერ მივიღოთ სასურველი შედეგი. აქედან გამომდინარე, გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება, თუ მუნიციპალიტეტი შეძლებს განახორციელოს სრული პაკეტის დაფინანსება.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ ტრანსპლანტაციის შემდგომი რეაბილიტაციისთვის წელიწადში საჭირო დაახლოებით 10-15 ათასი აშშ დოლარი, რომლის თითქმის ნახევარს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია აფინანსებს ინდივიდუალური დახმარების პროგრამიდან. აქვე აღნიშნა, მიზანი არის ის, რომ დღეის მდგომარეობით, სახელმწიფოს მხრიდან ხდება 60%-იანი თანადაფინანსება და ეტაპობრივად, მივდივართ იმ მიზნისკენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს პროგრამის სრული დაფინანსება.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციის წევრები მხარს უჭერენ წარმოდგენილ საკითხს, რადგან ხელისუფლება ამ მიმართულებით სწორად მიდის, რაც ძალიან კარგია.

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი უნდა ამოქმედდეს 2019 წლის 1 აპრილიდან. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის რეკომენდაციით, საჭიროა აღნიშნული ჩანაწერის შეცვლა და მითითება, რომ დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი გავრცელდება 2019 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა“ (ს/კ.: 202058520) ლიკვიდაციის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მაკა ნასრაშვილმა და განმარტა, რომ 2018 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა ააიპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება, რომლის მიზნების თანახმად, უნდა გაერთიანდეს მედიათეკების და ბიბლიოთეკების სერვისები. აღსანიშნავია, რომ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში ფუნქციონირებას განაგრძობს ყველა მოქმედი ბიბლიოთეკა და საქმიანობას განაგრძობს ყველა თანამშრომელი, რომელიც მუშაობის სურვილს გამოთქვამს. ასევე, მოგვარებულია ბიბლიოთეკების უძრავი და მოძრავი ქონების საკითხიც, რომელიც გადაეცემა მულტიფუნქციურ გაერთიანებას.

სოფიო ხუნწარიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით მიდის სწორი გზით და რეფორმა არის აუცილებელი იმისთვის, რომ ქალაქში იყოს გამართული ბიბლიოთეკები. პირველ ეტაპზე დაგეგმილია წიგნის საცავების გარემონტება და რამდენიმე ბიბლიოთეკაში სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ დღესაც მოქმედია პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლითაც შეიქმნა მთავარი ბიბლიოთეკების გაერთიანება და დაინტერესდა, რა სამართლებრივი საფუძვლით ახორციელებს მის ლიკვიდაციას საკრებულო.

მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ პრეზიდენტის ბრძანებულება მოქმედია, თუმცა პრეზიდენტს, მმართველობითი ფუნქციებიდან გამომდინარე, აღარ აქვს ეს ფუნქცია. ამასთანავე, მთავრობის 2007 წლის N131 დადგენილებით, ქ.თბილისის მერიას დაევალა მთავარი ბიბლიოთეკის ლიკვიდაციის განხორციელება და მისი, როგორც მუნიციპლური ააიპ-ის დაფუძნება, ხოლო თვითმმართველობის კოდექსით განისაზღვრა, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკები უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკუთრების ერთეულებად. აქედან გამომდინარე, წარმოიშვა ნორმათა ერთობლიობის კოალიზია და გადაწყდა წარმოდგენილი ფორმა.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, მთავარი ბიბლიოთეკის ქონება მულტიფუნქციურ გაერთიანებაში სრულად გადავა ზუსტად იგივე ბალანსით და მიზნობრიობით თუ არა.

სოფიო ხუნწარიამ განმარტა, რომ მთავარი ბიბლიოთეკის ქონება მულტიფუნქციურ გაერთიანებაში გადადის იგივე ბალანსით და მიზნობრიობით.

ელენე ოზაშვილმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში მომუშავე ადამიანების წუხილი არის ის, რომ დარჩებიან უმუშევრები და მიმართა სოფიო ხუნწარიას, დაადასტუროს კომისიის სხდომაზე მაკა ნასრაშვილის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია, რომ ეს ადამიანები განაგრძობენ მუშაობას.

სოფიო ხუნწარიამ განაცხადა, რომ არც ერთი თანამშრომელი, რომელიც გამოთქვამს ბიბლიოთეკებში მუშაობის სურვილს, არ იქნება სამსახურიდან გათავისუფლებული.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ რეფორმა გადადის დასკვნით ეტაპზე, რადგან ის ემსახურება სისტემის მოწესრიგებას კანონმდებლობის შესაბამისად და კარგი იქნება, თუ სამომავლოდ განვითარდება ელექტრონული მიმართულებაც, რადგან სტუდენტებისთვის, მოსწავლეებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მნიშვნელოვანი იქნება ის შესაძლებლობა, რომ საცავებში არსებულ და სხვადასხვა რესურსზე ექნება ელექტრონული წვდომა.

სოფიო ხუნწარიამ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს სამუშაოები და უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება საკრებულოს წარედგინოს ბიბლიოთეკების განვითარების სრული კონცეფცია, სადაც პირველი ეტაპი სწორედ ელექტრონული სისტემის დანერგვა იქნება.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ ბიბლიოთეკების მიმართულებით განხორციელებული რეფორმა მეტად მნიშვნელოვანია როგორც დედაქალაქისთვის, ასევე ახალგაზრდების ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისთვის, ახალი და კრეატიული კავშირების შექმნისთვის, ახალი პროექტების და შემოქმედებითი კოლაბორაციების განვითარებისთვის. რაც შეეხება ბიბლიოთეკებში დასაქმებულ ადამიანებს, არაერთხელ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ არავინ გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და არის მოლოდინი, რომ ისინი განაგრძობენ მუშაობას განახლებულ გაერთიანებაში.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ერთი წლის წინ, როდესაც იყო ბიბლიოთეკების გაერთიანებაზე საუბარი, ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ წინააღმდეგნი, რადგან ამბობდნენ, რომ ამისათვის საჭირო იყო გარკვეული დრო და სწორედ ამის დასტურია ის, რომ ერთი წელი დასჭირდა ამ მიმართულებით განსახორციელებელ სამუშაოებს.

სოფიო ხუნწარიამ გაიხსენა ბიბლიოთეკების საკითხთან დაკავშირებით ერთი წლის წინ ოპოზიციის მიერ გაკეთებული განცხადებები და აღნიშნა, რომ მათი თქმით, მუნიციპალიტეტი იწყებდა ბიბლიოთეკების დახურვას და გაყიდვას, რასაც მაშინვე უარყოფდა მუნიციპალიტეტი და ამბობდა, რომ აპირებდა ბიბლიოთეკების არა დახურვას, არამედ შენებას და ამ ინფორმაციას ადასტურებს დღესაც. რაც შეეხება იმას, რომ ამ მიმართულებით შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას დასჭირდა ერთი წელი, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ეს დრო მუნიციპალიტეტს დასჭირდა იმაში, რომ თითოეულ ბიბლიოთეკართან ეწარმოებინა მოლაპარაკება და დაერწმუნებინა ისინი, რომ სამსახურის დაკარგვის საფრთხე არ ემუქრებოდათ.

ირაკლი ზარქუას თქმით, ბიბლიოთეკების მიმართულებით განხორციელებული რეფორმა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სისტემის მოწესრიგების, არამედ იმ კუთხითაც, რომ შენარჩუნდება დღეს არსებული ყველა ბიბლიოთეკა და აშენდება ახლებიც, ბიბლიოთეკებში დასაქმებულ თითოეულ ადამიანს ექნება სამსახურის გაგრძელების შეთავაზება და განაცხადა, რომ „ჩვენ თითოეულ ნაბიჯს ვდგამთ საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით".

ლევან ჟორჟოლიანმა მიმართა მერიის წარმომადგენლებს, დეტალურად განემარტათ, თუ რა სამუშაოების ჩატარება იყო საჭირო იმისთვის, რომ ეს საკითხი მისულიყო დღეს არსებულ მდგომარეობამდე.

მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლა დაიწყო 2015 წლიდან, როდესაც მთავარი ბიბლიოთეკების გაერთიანებაში ირიცხებოდა 46 ფილიალი, თუმცა მათგან ათი ბიბლიოთეკა ფიზიკურად განადგურებული იყო ან არ ფუნქციონირებდა. საჭირო იყო წიგნადი ფონდის აღწერა, რადგან ამ მიმართულებით ბოლო მონაცემები იყო 80-ანი წლების, როდესაც, ბიბლიოთეკის ფონდში დაახლოებით ხუთჯერ მეტი წიგნი იყო, ვიდრე 2015-ში არსებობდა რეალურად. ასევე, არ არსებობდა მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია და შესაბამისად, ბიბლიოთეკებში არსებული მდგომარეობის შესწავლას დასჭირდა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი მუშაობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.15.001.300.03.03.007; N01.14.15.001.300.03.03.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი

თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი, 51.30 კვ.მ. და 70.30 კვ.მ. ფართის ბინის გაცვლა, ყიფშიძის ქუჩაზე, დაუსრულებელ კორპუსში მდებარე 122 კვ.მ. კერძო საკუთრებაში არსებულ ფართში. აღსანიშნავია, რომ გასაცვლელი ქონებების ფართი და ღირებულება თითქმის იდენტურია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.509) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 36 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.518) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 18 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მასივი-3, III მიკრორაიონის კორპუსი N319ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.010.001.01.024) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 97 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც დაახლოებით 24 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 71 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1995 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.087.02.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 16.39 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში მდებარე წყალმომარაგების ქსელის (ს/კ.: N81.00.885) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ გამგეობის მიერ განხორციელდა წყალმომარაგების ქსელის და სატუმბი სადგურის მოწყობა. ამ ეტაპზე წარმოდგენილია შესაბამისი ქსელის გადაცემა ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობით შექმნილი ამხანაგობისთვის, რათა მოხდეს წყლით მომარაგების მომსახურებაზე ხელშეკრულების გაფორმება კომპანიასთან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ გასაცვლელი მიწის ნაკვეთები შეფასებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, მათ შორის სხვაობა შეადგენს 1117366 ლარს, რასაც გადაიხდის კერძო მესაკუთრე.

ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული ქონება, კერძო მესაკუთრემ, სხვადასხვა დროს, იყიდა 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 20 და 35 ლარად და დაინტერესდა, რატომ ემსახურება თბილისელების ინტერესებს ის, რომ ამ 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთში დღეს მუნიციპალიტეტი იხდის 1700 ლარს.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ სამხარაულის შეფასებაში გათვალისწინებულია ის, რომ პროექტს არ გააჩნია სამშენებლო ნებართვა, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, მიწის ნაკვეთი გაცილებით მეტი ღირებულების იქნებოდა. რაც შეეხება თავად მიწის ღირებულებას, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, თუ რა კონფიგურაციით და კვადრატულობით იქნა შეძენილი აღნიშნული ქონება, რადგან, 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც მშენებლობისთვის შეუსაბამოა, შესაძლებელია 20 ლარიც არ ღირდეს. დღეს წარმოდგენილი, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, სხვადასხვა დროს შეძენილი იყო იმ მომენტისთვის საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული კონფიგურაციით. კერძოდ, მესაკუთრემ ნაწილ-ნაწილ, არაღირებული მიწის ნაკვეთები დაირეგისტრირა ლეგალიზების გზით, გამოისყიდა კერძო პირისგან, მუნიციპალიტეტისგან და სახელმწიფოსგან, შეკრა ეს ნაკვეთები და დაამუშავა პროექტი. ამის შემდეგ, ბუნებრივია, რომ ამ ერთიანი მიწის ნაკვეთის ფასი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე იყო მანამდე, რადგან შეუძლებელია 50 კვ.მ. და 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთების ღირებულება იყოს ერთი და იგივე.

ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთს ფასი მოემატა 86-ჯერ და დაინტერესდა, არსებობს თუ არა დედაქალაქში სხვა მიწის ნაკვეთი, რომლის ფასიც გაზრდილია ასეთივე შეფარდებით და აქვე დაინტერესდა, საკრებულოს წევრებიდან არის თუ არა ვინმე ისეთი, ვინც მხარს არ დაუჭერს წარმოდგენილ საკითხს.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ „ეს არის შოუს ელემენტები, ოპოზიცია თავის სტილშია", რადგან მათ შეკითხვებზე კონკრეტული და არგუმენტირებული პასუხები გაიცა. მისი თქმით, წარმოდგენილი საკითხი გამომდინარეობს საზოგადოებრივი ინტერესებიდან, რომლის სურვილია და მათ შორის, ოპოზიციის მოთხოვნაც იყო, რომ თაბორის მთაზე არ განხორციელებულიყო კერძო მესაკუთრის მიერ დაგეგმილი მშენებლობა.

ლევან ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ქალაქის მერმა მიიღო კარგი გადაწყვეტილება, რომ შეაჩერა დაგეგმილი განაშენიანება და დაინტერესდა, რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტი მშენებლობაზე თანხმობას არ მისცემდა კერძო მესაკუთრეს და მასთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს მიწის ნაკვეთის მონაცვლეობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ახალი გენ.გეგმის მიღების შემდეგ, ზონალური ცვლილებებიდან გამომდინარე, ბევრ მოქალაქეს გაუუარესდა მდგომარეობა და განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ მათი საკითხიც განხილული იქნება დაჩქარებული წესით და რაიმე სახის კომპენსაციით მოხდება მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. ლევან ჯაფარიძემ უპასუხა ლევან ხაბეიშვილის შეკითხვას, რომელიც შეეხებოდა წარმოდგენილი საკითხისთვის მხარის დაჭერას და აღნიშნა, რომ ამ საკითხს მხარს არ დაუჭერს.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას არ მოსწონს, როდესაც უწევს ისეთი ტერიტორიების მონაცვლეობა, რომლებიც თავის დროზე არ უნდა გასხვისებულიყო, მათ შორის, საჯარო ინტერესების დაცვის გათვლისწინებით, უკვე განხორციელდა ვაკის პარკის ტერიტოორის ჩანაცვლება, ამავე მიზნით, დღის წესრიგშია სასტუმრო „აჭარის" წინ მდებარე ტერიტორიის მონაცვლეობის საჭიროება და სხვა. წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არსებობს ერთადერთი კანონიერი გზა - განხორციელდეს კერძო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა. რაც შეეხება მიწის ნაკვეთების ფასს, ისინი შეფასებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და თუ ვინმე არ ეთანხმება, შეუძლია წარმოადგინოს თუნდაც კერძო ექსპერტიზის მიერ განხორციელებული შეფასება. მისი თქმით, წარმოდგენილი გადაწყვეტილება გამომდინარეობს საზოგადოების და მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლების მოთხოვნიდან.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხდა, რომ საკმაოდ სერიოზული არგუმენტები იქნა წარმოდგენილი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი შეფასებული იმაზე მაღალ ფასად, ვიდრე ის იქნა შეძენილი. გარდა ამისა, არასერიოზული და მიუღებელია საკრებულოს წევრებმა იდავონ იმაზე, რომ ექსპერტიზის მიერ შეფასება სწორად ჩატარდა თუ არა. ლევან ჟორჟოლიანის თქმით, არავის მოსწონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30 ჰექტარი მიწის ნაკვეთის კერძო პირისთვის გადაცემა, თუმცა, დღევანდელი ხელისუფლებას, ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, უწევს გარკვეულ მსხვერპლზე წასვლა.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ კერძო მესაკუთრემ ექსპერტიზას მიწის ნაკვეთის შეფასების მოთხოვნით მიმართა დეკემბერში, შუალედური პასუხის შემდგომ, როდესაც საჯაროდ ჯერ არ იყო საუბარი მიწის ნაკვეთების მონაცვლეობაზე და დაინტერესდა, მუნიციპალიტეტმა, როგორც დაინტერესებულმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, რატომ არ მიმართა ექსპერტიზას შეფასების მოთხოვნით.

ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, როდის და რა ფასად აქვს ადამიანს ნაყიდი კონკრეტული ადგილი, ფაქტია, რომ დღეს მის საკუთრებაშია გარკვეული მიწის ნაკვეთი, რომელიც, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს სურს დაიბრუნოს, რისთვისაც არსებობს ორი გზა: პირველი - კერძო მესაკუთრემ მუნიციპალიტეტს აჩუქოს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მეორე - კერძო პირს და მუნიციპალიტეტს შორის შეთანხმების მიღწევა. ერეკლე კუხიანიძის თქმით, მიწის ნაკვეთის შეფასებასთან დაკავშირებით, საერთოდ რომ არ არსებობდეს ექსპერტიზის დასკვნა და კერძო მესაკუთრე ისე ასახელებდეს მისთვის სასურველ თანხას, მუნიციპალიტეტს თუ უღირს, ეს თანხა უნდა გადაიხადოს. შესაძლებელია, ვინმე ფიქრობს, რომ მუნიციპალიტეტი კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში იხდის იმაზე მაღალ ფასს, ვიდრე ის ღირს, თუმცა გაუგებარია ამ საკითხზე კამათი, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ როდესაც კერძო პირსა და მუნიციპალიტეტს შორის დაიგეგმა მოლაპარაკება, მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით, მთავარი იყო ის, თუ რა დაუჯდებოდა ქალაქს ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა და რა განცდა დარჩებოდა საზოგადოებას იმ დღეებში განხორციელებული პიარ-კამპანიის შემდეგ და დაინტერესდა როდის გასცა საბჭომ თანხმობა ესკიზის შეთანხმებაზე. მისი თქმით, ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან, თუ მუნიციპალიტეტი კერძო მესაკუთრეს არ აძლევდა მშენელობის ნებართვას, მაშინ რატომ გასცა საბჭომ თანხმობა, რითიც გააძვირა კერძო მესაკუთრის აქტივი. დაინტერესდა სტატისტიკური მონაცემებით, თუ რამდენი მოთხოვნაა მიწის მონაცვლეობასთან დაკავშირებით, რამდენი დაკმაყოფილდა ან რამდენზე მოხდა რეაგირება. საინტერესოა ასევე ისიც, რომ სამხარაულის ეროვნულმა ბიურომ, ფართის და ფასის გამოყვანისას იხელმძღვანელა იმ აქტით, რომელზეც სამართალწარმოება არ იყო დასრულებული და თავადვე აღნიშნავს, რომ შემფასებელმა არ იცის საბოლოო შედეგი.

რევაზ სოხაძემ ისაუბრა საბჭოს გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ 2017 წლის ოქტომბერში, მანამ, სანამ მერიაში მოვიდოდა ახალი ადმინისტრაცია, გაიცა მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროიდან მესაკუთრე აღჭურვილია კანონიერი დოკუმენტით, რომ შეუძლია განახორციელოს სამშენებლო პროექტის განხორციელება. რის შემდეგაც, აღნიშნულ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობა წელიწადზე მეტი და 2018 წლის შემოდგომაზე, საბჭოს მხრიდან გადაიდგა პირველი ნაბიჯი.

ირაკლი თავართქილაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს და განმარტა, რომ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს კერძო მესაკუთრემ მიმართა იმიტომ, რომ არსებული პრაქტიკით, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შეფასებისას, ექსპერტიზას მიმართავს დაინტერესებული პირი და არა მუნიციპალიტეტი, რათა არ გაწიოს ხარჯი, თუმცა მუნიციპალიტეტსაც რომ მიემართა, პასუხი იქნებოდა იგივე. რაც შეეხება იმას, თუ როდის გაჟღერდა მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი, აღნიშნა, რომ ეს იყო ორი თვის წინ, თუმცა მერიის სხვადასხვა სამსახურებში ამაზე საუბარი მიმდინარეობდა მანამდეც, დაახლოებით 8-9 თვის განმავლობაში. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, ის უკვე შეფასებული და დამუშავებული იყო, რადგან დაგეგმილი იყო მისი მონაცვლეობა სხვა მიწის ნაკვეთში და აქედან გამომდინარე, პროცესები დაჩქარებული არ ყოფილა. სტატისტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მერიაში ძალიან ბევრი განცხადება შედის მიწის ნაკვეთის მონაცვლეობასთან დაკავშირებით და ეს მონაცემი კიდევ უფრო გაიზარდა ახალი გენ.გეგმის მიღების შემდეგ. თუმცა ამ შემთხვევაში, უნდა გაიმიჯნოს მონაცვლეობების ტიპები, კერძოდ: ერთია მონაცვლეობები, სადაც მუნიციპალიტეტს უწევს ისეთი ქონების დაბრუნება, რომლებიც ძველ დროს იყო გაყიდული, ნაჩუქარი, დარიგებული, ნებართვები გაცემული და კოეფიციენტები გაზრდილი; მეორე არის ისეთი მიწის ნაკვეთების მონაცვლეობები, რომლებზეც ახალი გენ.გეგმის მიღების შემდეგ შეიცვალა ზონის სტატუსი. ირაკლი თავართქილაძის თქმით, ეს იქნება ძალიან რთული პროცესი, რადგან მსგავსი მიწის ნაკვეთების მონაცვლეობისთვის საჭირო მიწის ბანკი არ აქვს ქალაქს, რადან მიწის დიდი ნაწილი საერთოდ არ არის რეგისტრირებული, არ არსებობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ერთიანი ბაზა. ამ ეტაპზე, საჯარო რეესტრთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა პროექტის შემუშავებაზე, რომლის ფარლებშიც გაკეთდება ქალაქის, როგორც მიწის ნაკვეთების, ასევე შენობა-ნაგებობების სრული ინვენტარიზაცია, რომლის დასრულების შემდეგაც შესაძლებელი იქნება განსაზღვრა, თუ რა გზებით და საშუალებებით შეძლებს მუნიციპალიტეტი მოსახლეობის დაკმაყოფილებას. შეკითხვაზე, თუ რატომ მისცა მუნიციპალიტეტმა მშენებლობაზე თანხმობა კერძო მესაკუთრეს, თუ მერე აღარ მისცემდა მშენებლობის ნებართვას, აღნიშნა, რომ ეს მიწის ნაკვეთი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნების შემდეგაც ინარჩუნებს მშენებლობის ნებართვას და თუ ოდესმე, ქალაქის რომელიმე ხელისუფლება გადაწყვეტს ამ ტერიტორიის განაშენიანებას, ის ამას შეძლებს. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი არათუ წაგებაშია, არამედ ნახულობს ორ სარგებელს: ერთი - აქვს ღირებული მიწა, რომლის ფასი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება და თუ ქალაქი გადაწყვეტს, შეძლებს მის განვითარებას და მეორე - შენარჩუნებულია ლანდშაფტი, რომელიც, დღევანდელი ხელისუფლების ხედვით, მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს.

ლილე ლიპარტელიანის თქმით, ირაკლი თავართქილაძის მიერ გაკეთებული განმარტებებიდან გამოდის, რომ მესაკუთრემ წინასწარ იცოდა რომ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობას ვერ განახორციელებდა და შეგნებულად იყიდა უფლებრივად ნაკლიანი ქონება და სანამ არქიტექტურის სამსახური უარს ეტყოდა მშენებლობაზე, მხოლოდ შუალედურ პასუხზე დაყრდნობით, მიწის ნაკვეთის შეფასების თხოვნით მიმართა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. აქვე აღნიშნა, რომ ოპოზიცია არათუ მონაცვლეობის წინააღმდეგია, არამედ ისინი თავად ითხოვდნენ მიწის ნაკვეთების მონაცვლეობას, თუმცა მუნიციპალიტეტის მხრიდან კერძო მესაკუთრეს უნდა გადაეცეს შესაბამისი და ადეკვატური მიწის ნაკვეთი.

ირაკლი თავართქილაძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ 100 კვ.მ. და 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთების შემთხვევაში, 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ღირებულება აქვს. რეალურად, მიწის ნაკვეთის ღირებულება განისაზღვრება მისი განვითარების შესაძლებლობით და არა მდებარეობით. შესაბამისად, ერთმანეთის გვერდით არსებულ ორ მიწის ნაკვეთს შესაძლებელია აბსოლუტურად განსხვავებული ღირებულება ჰქონდეს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.006.006.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 60 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. N24-26-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.05.010.047) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაიფაზისთვის" (ს/ნ.: 404553700) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. N51/2-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.132.009) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისთვის" (ს/ნ.: 204861961) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების

მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, იერუსალიმის ქ.N1-ის მიმდებარედ არსებული 83 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.066.011) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ქერო“-სთვის (ს/ნ.: 416341300) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქ.N7-ის მიმდებარედ არსებული 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.075.025) პირდაპირი განკარგვის წესით მიხეილ გავაშელისთვის (პ/ნ.: 01019062511) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 20 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-031910281-03 თარიღი: 12.04.2019 (9 პოზიცია); N12-031910683-03 თარიღი: 16.04.2019 (7 პოზიცია) და N12-0319107122-03 თარიღი: 17.04.2019 (4 პოზიცია) რომლებზეც ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება, ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა. აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევაში წარმოდგენილია ტექნიკური ხარვეზის გასწორება და ისაუბრა თითოეულ წარმოდგენილ ცვლილებაზე.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ე.წ. „ორთაჭალის ტურფას" მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე, საკრებულოს წევრის ნინო ლაცაბიძის სამაჟორიტარო ოლქში, მოსახლეობა ითხოვს, მიწის ნაკვეთის გარკვეულ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონის დადებას, რადგან არსებული მდგომარეობით, სატრანსპორტო გზა ძალიან შევიწროვებულია და ნორმალური გზის მოწყობის მიზნით, სასურველია აღნიშნული საკითხის გათვალისწინება უახლოესი ცვლილებების პროექტში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში სოფელ დიდ ლილოში, საკადასტრო კოდი: N81.08.07.534 (33840 კვ.მ.) აეროსადგურის (შვეულმფრენების ცენტრი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ახალი გენ.გეგმით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა და იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილია შვეულმფრენების ცენტრის მშენებლობა, შემოთავაზებულია ზონისთვის სტატუსის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ. თბილისში, სოფელ თხინვალაში, შ.პ.ს „მწვანე ცენტრი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N314) ინდივიდუალური, ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების და განაშენიანების დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ-2) შესაბამისი ობიექტებისგან შემდგარი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 12 თებერვლის N01/122 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ორ სექტორში ორ-ორი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება, რაც, ტერიტორიის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ცვლილებებს არ იწვევს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N180, საკადასტრო კოდი: N01.72.14.034.753 (ფართობი: 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო-საგამოფენო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ არსებული მდგომარეობით, ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სავაჭრო ცენტრის მშენებლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა N6, N7, მარშალ გელოვანის გამზირი N23ბ, N27, N23, N23ა, N23ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, N01.10.10.025.036, N01.10.10.025.045, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.086), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულ - გამაჯანსაღებელი, სკოლა, ბაღი, კომერციული და დამხმარე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულ - გამაჯანსაღებელი, საგანმანათლებლო და კომერციული ფუნქციებით. საპროექტო არეალი მოიცავს დაახლოებით 11 ჰექტარს, რომელზეც, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის, საცხოვრებელი ზონა 6-ის, სარეკრეაციო ზონა 1-ის, სარეკრეაციო ზონა 2-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის დადება. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის განაშენიანება ინტენსივობის თვალსაზრისით მოხდება 2.3 კოეფიციენტით, ხოლო მიშენების თვალსაზრისით არ აღემატება 0.3-ს. ასევე, აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებულია სატრანსპორტო და გამწვანების სამსახურების რეკომენდაციები და ტერიტორიაზე მოეწყობა საერთო სარგებლობის პარკი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, იპოლიტოვ - ივანოვის ქ.N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის N198 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე

წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის კორექტირება, კერძოდ, იცვლება ნაკვეთების კონფიგურაცია, ფართისა და თვისობრივი ცვლილებების გარეშე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „სსიპ ქალაქ თბილისის N218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საკრებულოს წევრებმა ვახტანგ შაქარიშვილმა და ჯაბა ჯიმშკარიანმა დატოვეს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" შემადგენლობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 3 დადგენილება და 21 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სარევიზიო კომისიის მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაოს წლიური ანგარიში

ქ.თბილისი 19 აპრილი 2019 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ **2018 წლის 1** იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით **პერიოდში** გაწეულ სამუშაოებზე დაყრდნობით შედგენილია წინამდებარე ანგარიში, რომელიც კომისიაზე განხილვის შემდგომ წარედგინება საკრებულოს.

მოცემული დოკუმენტი შემუშავებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის № 3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სარევიზიო შემოწმებების შედეგად შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნებზე დაყრდნობით.

2018 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2017 წლის 14 დეკემბერს, რომელის თანახმადაც წლის განმავლობაში კომისია ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დამტკიცებული გეგმა მოიცავდა 21 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის 171 საბავშვო ბაგა-ბაღს შერჩევითი მეთოდით.
სარევიზიო კომისია, სარევიზიო შემოწმებას ახორციელებს სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის № 3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ასევე კონკრეტული შემოწმებიდან გამომდინარე, შესაბამის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ჯგუფის წევრები შემოწმების წარმოებისას გარდა სარევიზიო კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა ხელმძღვანელობენ, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის დავალებით და მის საფუძველზე გაცემული შესამოწმებელი ობიექტის შემოწმების პროგრამით. ასევე, ხელმძღვანელობენ შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, რომლის სისრულეზე და სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტი, ხოლო ჩატარებული შემოწმებისა და მის საფუძველზე შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნის სისწორეზე პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შესაბამისი შემმოწმებელი ჯგუფი.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განხილვისთვის.
შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება სხდომაზე. (სხდომამდე შემოწმება-ანალიზის დასკვნა გასაცნობად ეგზავნებათ შემოწმებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 7 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები-შენიშვნები დასკვნის ირგვლივ) სარევიზიო კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

სარევიზიო კომისიის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით **პერიოდში** შემოწმდა 33 ორგანიზაცია, (მათ შორის: გეგმით გათვალისწინებული 32 ორგანიზაცია და 1 არაგეგმიური), სადაც შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები.

შემოწმება ვერ განხორციელდა სარევიზიო კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმით განსაზღვრულ ერთ ორგანიზაციაში, კერძოდ: სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურში", ხოლო სარევიზიო შემოწმება შეწყვეტილ იქნა **აიპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში"** ვინაიდან, სამსახურში შემოწმებას ანხორციელებდა სახემწიფო აუდიტის სამსახური.

სარევიზიო კომისიის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით **პერიოდში** შემოწმდა სულ 33 ორგანიზაცია, სადაც შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები. მათ შორის: 1) ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდი"-ს, 2) შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს და 3) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის შემოწმება-ანალიზის დასკვნები განხილვის ეტაპზეა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სარევიზიო კომისიის 22 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 47 საკითხი.

სარევიზიო კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა შემდეგი ორგანიზაციები, კერძოდ შემოწმდა:

ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ის 20 ორგანიზაცია.

1. **ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი"** - ს მიერ 2015 წლის 1 სექტემრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
2. **ა(ა)იპ "მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს"** მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
3. **ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი"** - ს მიერ 2016 წლის 1 სექტემრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
4. ა(ა)იპ ქ.თბილისის N 107-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

5. ა(ა)იპ ქ.თბილისის N 119-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
6. ა(ა)იპ ქ.თბილისის N 94-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
7. ა(ა)იპ ქ.თბილისის N 48-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
8. ა(ა)იპ ქ.თბილისის N 10-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
9. ა(ა)იპ ქ.თბილისის N 117-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
10. ა(ა)იპ ქ.თბილისის N 153-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
11. ა(ა)იპ ქ.თბილისის N 205-ე საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
12. ა(ა)იპ ქ.თბილისის N16 საბავშვო ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
13. ა(ა)იპ **ქ.თბილისის N92 საბავშვო** ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
14. ა(ა)იპ **ქ.თბილისის N50 საბავშვო** ბაგა-ბაღის მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეულისაფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
15. ა(ა)იპ **ქ.თბილისის „ზაჰესის ბაღის“** მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეულისაფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
16. **ა(ა)იპ ქ.თბილისის N5 ბაგა-ბაღის** მიერ 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე ჩათვლით პერიოდშიგაწეულისაფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
17. **ა(ა)იპ თბილისის N60-ე საბავშო ბაგა-ბაღი** მიერ 2016 წლის 1 იანვარი 2018 1 აგვისტომდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
18. **ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“** მიერ 2016 წლის 1 აგვისტოდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
19. **ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიას“** მიერ 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
20. **ა(ა)იპ "თბილისის განვითარების ფონდი"**-ს მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 5 რაიონული გამგეობა.

21. **ისნის რაიონის გამგეობის** მიერ 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.
22. **სამგორის რაიონის გამგეობის** მიერ 2016წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

23. **ნაძალადევის რაიონის გამგეობის** მიერ 2016წლის 1 მარტიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

24. **საბურთალოს რაიონის გამგეობის** მიერ 2017წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

25. **კრწანისის რაიონის გამგეობის** მიერ 2016წლის 1 მარტიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 3 საქალაქო სამსახური.

26. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის **მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის** მიერ 2016 წლის 1 მაისიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

27. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

28. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის **მერიის ადმინისტრაციის** მიერ 2016 წლის 1 აგვისტოდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული შპს 3 ორგანიზაცია.

29. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი **შპს „ჰერმესის“** მიერ 2017 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 1 აპრილამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

30. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“** მიერ 2015; 2016 და 2017 წლების პერიოდშიგაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

31. **შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს** მიერ 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ქალაქ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ 1 ორგანიზაცია

32. სსიპ **„სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“** მიერ, 2016 წლის 1 ოქტომბრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

არაგეგმიურად შემოწმდა:

33. „ქვემო ფონიჭალაში მიმდინარე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით“, სარევიზიო შემოწმება.

ჩატარებული შემოწმებებით დადგენილი იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები:

1. ა(ა)იპ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი“

შემოწმებით დადგინდა:

1. შემოწმების შედეგად გამოვლენილია ორი შემთხვევა, როდესაც გამარტივებული ელექტრონული ტენდერის დროს ვაჭრობის შედეგად პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასი 20%-ით ან მეტად დაბალია შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, მიუხედავად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის N9 ბრძანების მე-9 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებისა, ცენტრის მიერ პრეტენდენტისგან არ იქნა მოთხოვნილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. ა.(ა).ი.პ. „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის“ ბალანსზე რიცხული ავტომანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურეობის შესყიდვის მიზნით გაფორმებული N65 და N14 ხელშეკრულებების ფარგლებში მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმებები, რომლის თანახმადაც გაიზარდა სახელშეკრულებო ღირებულებები. ორივე შემთხვევაში სახელშეკრულებო თანხის ზრდა გამოიწვია შესასყიდი ავტონაწილების რაოდენობის გაზრდამ. ვინაიდან ხელშეკრულების საგნის მოცულობის ზრდა არ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას, დარღვეულია საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი და ხელშეკრულების 10.2 პუნქტი.

3. 2016 წლის 20 ივნისს ა.(ა).ი.პ „თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრს“ და შ.პ.ს. „ქარს მოტორსს“ შორის, **SPA160014226** ელექტრონული ტენდერის მეშვეობით გაფორმდა N64 ხელშეკრულება. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ექვსი ერთეული სატრანსპორტო საშუალების შესყიდვა, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 299 879 ლარით. შ.პ.ს. „ქარს მოტორსის“ მიერ არ შესრულებულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რაც დასტურდება 2016 წლის 19 აგვისტოს სატენდერო კომისიის „ხარვეზის არსებობის შესახებ ოქმით“. ხელშეკრულების 8.1 პუნქტის თანახმად ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო საჯარიმო სანქცია, სახელშეკრულებო ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. **ცენტრის მიერ არ მომხდარა შ.პ.ს. „ქარს მოტორსის“ დაჯარიმება,** ასევე არ მომხდარა სადაზღვეო კომპანია „არდის“ მიერ გაცემული გარანტიის მოთხოვნა. ცენტრს არ მიუმართავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის შემსრულებლის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით, როგორც ამას მოითხოვს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის N19 ბრძანების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი.

2. ა(ა)იპ “მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“

შემოწმებით დადგინდა:

1. 2017 წლის 24 აპრილს „სააგენტომ“ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, სავარაუდო თანხით 12000,00 ლარი, აუქციონის გარეშე NAT170004460 - ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები. უმცირესი ფასით 5700,00 ლარით გაიმარჯვა შპს „თეგიმ“, რაც 20%-მეტით დაბალი იყო შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. 2017 წლის 15 მაისს გაფორმდა N17/37 ხელშეკრულება, თუმცა შპს „თეგი“-ს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვაში მითითებულია, რომ 5700,00 ლარში მომსახურების გაწევა შესაძლებელია დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდის გარეშე, ესე იგი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შპს „თეგი“ ვერ შეძლებდა სატენდერო პირობების შესრულებას, შესაბამისად უნდა მომხდარიყო მისი დისკვალიფიკაცია.

ყოველივე აღნიშნულით დაირღვა **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილი N9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის და მე-12 მუხლის მეოთხე პუნქტის** მოთხოვნები.

2. 2017 წლის 21 ივლისს „სააგენტომ“ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, აუქციონის გარეშე NAT170008392 - რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. ყველაზე დაბალი ფასი 23660,00 ლარი შესთავაზა, ი/მ ქეთევან ბრაგვაძემ. 2017 წლის 11 აგვისტოს მასთან გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება. 2017 წლის 5 ოქტომბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების N33 აქტი 3 680,50 ლარის მომსახურეობაზე, 2 ნოემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების N45 აქტი 9 233,00 ლარზე და 4 დეკემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების N59 აქტი 8 030,50 ლარის მომსახურეობაზე, ჯამში მიღება-ჩაბარების აქტებით თანხამ შეადგინა **20 944,00** ლარი, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე შესაბამის ველში „ფაქტობრივი გადახდები“ „მიმწოდებლისათვის გადახდილი თანხა“ ნაჩვენებია **23 659,80 ლარი** (100%). „სააგენტომ“ წარმოადგინა 2017 წლის 15 დეკემბრის მიღება-ჩაბარების N64 აქტი 2 715,80 ლარის მომსახურეობის მიღებაზე, რომელიც შესყიდვების სააგენტოს შესაბამის სისტემაში არ არის ატვირთული. აღნიშნულით დაირღვა **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილი N9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჭ“ ქვეპუნქტი და 22[1] მუხლის** მოთხოვნები.

3. ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკი“

შემოწმებით დადგინდა:

1) **სხვადასხვა თანამშრომლის პირად საქმეში საჭირო საბუთები სრულად არ არის დაკომპლექტებული, კერძოდ პირადი საქმეები არ მოიცავს ყველა საჭირო დოკუმენტებს,** რომელიც გაწერილია 2015 წლის 5 იანვარს დამტკიცებული ა(ა)იპ „თბილისის ზოოლოგიური პარკის“ შრომის შინაგანაწესში.

2) თბილისის ზღვაზე ჩატარდა იქ არსებული სალარო აპარატის მუშაობის ხარისხის შემოწმება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აპარატის მუშაობის ხარისხი იყო მოუწესრიგებელი, კერძოდ: მნიშვნელოვნად განსხვავდება **ფაქტობრივი და სალარო აპარატის მონაცემების რეალური დრო,** რომელიც წარმოშობილი იყო 2018 წლის 5 თებერვლიდან. ჩვენი ჩარევის შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა.

3) **ზოოლოგიურ პარკში არ ხორციელდება გამარტივებულ შესყიდვასთან (ერთ პირთან მოლაპარაკება) დაკავშირებით ბაზრის კვლევა, უკეთესი მომწოდებლების გამოვლენის და ჯანსაღი კონკურენციის მიზნით, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფისათვის, კორუფციის რისკების მაქსიმალურად შემცირებისა და საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად გამოყენებისათვის.**

გადაუდებელი აუცილებლობით გაფორმებულია ორი ხელშეკრულება: 1) 2017 წლის 23 იანვარს გაფორმებულ იქნა N011210/10/013 ხელშეკრულება ი/მ არჩილ დალაქიშვილთან (პ/ნ 22001014783) 8665 ლარის ხორც პროდუქტების შესყიდვის მიზნით - CMR170025024 და 2) 2016 წლის 12 დეკემბერს გაფორმებულ იქნა N011210/10/148 ხელშეკრულება ი/მ თამაზ მჭედლიშვილთან (პ/ნ 40001030964) 3690 ლარის მარცვლეული პროდუქტების (ქატო, ქერი დაღერღილი, სიმინდი დაღერღილი, წიწიბურა, ბრინჯი) შესყიდვის მიზნით - CMR160208446.

ორივე შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი განკარგულებებით ჰქონდათ მინიჭებული თანხმობა გადაუდებელი აუცილებლობით ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, თუმცა **არცერთ შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება თბილისის ზოოლოგიურ პარკს არ წარუდგენია დამფუძნებლისთვის (ქ. თბილისის მერია), რისი ვალდებულებაც კანონითაა განსაზღვრული. შესაბამისად, დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N13 ბრძანების მე-6 მუხლის მოთხოვნები.**

4) **ზოოლოგირი პარკის მხრიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში არ არის ატვირთული მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნულით დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტონული ტენდერის ჩატარების წესის“ 22 - ე მუხლის მე - 3 პუნქტის მოთხოვნები.**

5) წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად 2016-2017 წლებში სხვადასხვა (რვა) ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ფორმა N2 და მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით შესრულებებში არის ნაჩვენები 359176 ლარის სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ არ მოწმდება შესრულებული სამუშაოები სათანადო სპეციალისტებით, ექსპერტების დასკვნებით. თუმცა ხელშეკრულებებში განსაზღვრულია საექსპერტო შემოწმება. **მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ზოოლოგიური პარკის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შექმნილი კომისიის ან საექსპერტო ჯგუფის მიერ განხორციელებული შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმების შესახებ დოკუმენტაცია.**

შემოწმებული იქნა ა(ა)იპ თბილისის N5-ე, N10-ე, N16-ე, N 48-ე, N50-ე, N60, N92-ე, N 94-ე, N 107-ე, N 117-ე, N 119-ე, N 153-ე, N 205-ე, საბავშო ბაგა-ბაღი, ა(ა)იპ „ზაჰესის“ ბაგა-ბაღი.

ააიპ ქ.თბილისის ბაგა-ბაღების შემოწმებისას **გვხვდება** მსგავსი ნაკლოვანებები და შენიშვნები; **არ ტარდება** ბაზრის კვლევა უკეთესი მომწოდებლის გამოვლენის მიზნით, სამშენებლო, სარემონტო და საპროექტო საქმიანობის შესასრულებელ და შესრულებულ სამუშაოს ხარისხს ხშირ შემთხვევაში ადასტურებს არაკომპეტენტური პირი, ზოგიერთ ბაგა-ბაღში არ არი ჩამოწერილი და ტერიტორიიდან გატანილი ამორტიზირებული საქონელი, მოუწესრიგებელია ბავშვთა დასწრების აღრიცხვის ჟურნალები, ასევე მოუწესრიგებელია ბავშვთა უსაფრთხოების ნორმები რისთვისაც ჩასატარებელია სათანადო სამუშაოები.

აღნიშნული შენიშვნების გამო ააიპ „თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს'' და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებს მიეცა რეკომენდაციები მათი შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

გაცემული რეკომენდაციები:

1. შესყიდვებთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება ჩატარდეს ბაზრის კვლევა, უკეთესი მომწოდებლის გამოვლენის და ჯანსაღი კონკურენციის მიზნით, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება

სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფისათვის.

2. სამშენებლო, სარემონტო და საპროექტო საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი განახორციელოს საბავშო ბაგა-ბაღების სააგენტომ, შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი მხარე დადასტურებული იქნას კვალიფიციური პირის მიერ.

3. მატერიალურ-ფასეულობების ინვენტარიზაცია და ამორტიზირებული საქონლის ჩამოწერა განხორციელდეს კანონმდებლობისა და დადგენილი რეკომენდაციების შესაბამისად.

4. ყურადღება მიექცეს ბავშვთა დასწრების აღრიცხვის სისწორეს, კვების პროდუქტების და სხვა მატერიალურ ფასეულობების (საკანცელარიო,სამეურნეო) რაციონალურად ხარჯვა-გამოყენებას.

5. განხორციელდეს საბავშვო ბაგა-ბაღის ეფექტურად მართვის ხელშეწყობისათვის შექმნილი ბაღის თანამშრომლების აღსაზრდელთა მშობლებისგან დაკომპლექტებული სათათბირო ორგანოს ჩანაცვლება საკონსულტაციო საბჭოთი და დაკომპლექტდეს, 2017 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედებული საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ'' მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა'' ქვეპუნქტით შესაბამისად.

6. ბაგა–ბაღის მართვის სტრატეგიით და არც დამტკიცებული საშტატო ნუსხით, არ არის გათვალისწინებული საბავშვო ბაგა–ბაღში საფინანსო–სააღრიცხვო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. თავისი სამართლებრივი ფორმის (არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი) და საქმიანობის, მნიშვნელოვანი შემოსავლებისა (უმეტესწილად საბიუჯეტო დაფინანსების) და ხარჯების ბუღალტრულად აღრიცხვის და სრულყოფილი ფინანსური ანგარიშგებების სწორად და გამჭირვალედ წარმოებისათვის აუცილებელია, ბაგა–ბაღის საშტატო განრიგით დაშვებული იქნას, შესაბამისი საშტატო ერთეული.

7. მნიშვნელოვანია, საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ ორგანიზებულად განხორციელდეს საბავშვო ბაგა-ბაღების ეზოებში წლობით დაგროვილი ჯართისა და ლითონის ნარჩენების გატანა, რაც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან ერთად ბავშვთა უსაფრთხოებასთანაცაა დაკავშირებული.

მიცემული რეკომენდაციები ააიპ „თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს'' და თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მიერ იქნა გათვალისწინებული.

არაგეგმიურად შემოწმდა „ქვემო ფონიჭალაში მიმდინარე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა".

შემოწმების შედეგად დადგინდა:

შპს ,,ტრანსმშენი"-სა (,,მიმწოდებელი") და ა(ა)იპ ,,თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს (,,შემსყიდველი") შორის 2016 წლის 16 სექტემბერს გაფორმებული N03/30/113 ხელშეკრულების საუძველზე, შპს ,,ტრანსმშენი" ქ.თბილისში, სოფ. ფონიჭალაში ახორციელებდა ახალი

საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობას. სამუშაოების დამთავრების ვადა იყო არაუგვიანეს 2017 წლის 16 სექტემბერი.

შპს ,,ტრანსმშენი"- მა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების დასრულება, რის გამოც ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ 18.10.2017წ. N1/3863 წერილით მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა.

შპს ,,ტრანსმშენი"-ს მიერ ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს მოცულობის ღირებულებამ შეადგინა 1 307 848.57 ლარი, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ღირებულების (1 644 908.93 ლარი) 80%-ს. შესრულებული სამუშაოს მოცულობიდან 1 125 263.67 ლარი გადარიცხულია შპს ,,ტრანსმშენი"-სათვის, ხოლო შპს ,,ტრანსმშენი"-სათვის ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებული პირსაგამტეხლოს თანხამ შეადგინა 182 584.90 ლარი, რომელიც ჩაირიცხა სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

ასევე ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 13.11.2017წ. N2/497 წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სს ,,თიბისი ბანკი"-ს მიერ 20.11.2017 წ. N1 საგადასახადო დავალებით, სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე ჩარიცხულია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საგარანტიო თანხა 82 530.00 ლარი.

შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შეფასება გაკეთებულია აკრედიტებული ექსპერტის - შპს ,,თი-აი-ეი-ჯი აუდიტესკორტი"-ს მიერ. 2016 წლის 22 დეკემბრის, 2016 წლის 26 დეკემბრის და 2017 წლის 5 დეკემბრის დასკვნებით დადასტურებულია შესრულებული სამუშაოების დამაკმაყოფილებელი ხარისხი.

ხელშეკრულების პირობებით დაწესებულია საგარანტიო ვადა, კონსტრუქციულ სამუშაოებზე არანაკლებ 5 კალენდარული წელი და საინჟინრო სამუშაოებზე არანაკლებ 3 კალენდარული წელი, რომლის განმავლობაშიც შპს ,,ტრანსმშენი" ვალდებულია ოპერატიულად აღმოფხვრას გარანტიის პერიოდში გამოვლენილი დეფექტები.

სააგენტოს ინფორმაციით შემოწმების მიმდინარეობისას, მიმდინარეობდა მუშაობა ტენდერის საშუალებით შემსრულებლის შერჩევისა და სოფ. ფონიჭალის ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის ობიექტის დამთავრებისათვის.

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სხდომის ოქმი N1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო განცხადებასთან ერთად ატვირთული არ ყოფილა, რითაც დარღვეულია შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს 15.3 მუხლის მოთხოვნა.

ა(ა)იპ ,,თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს სატენდერო კომისიის N2 სხდომა უნდა ჩატარებულიყო არაუგვიანეს 2016 წლის 18 მაისისა (თანახმად ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს 27.1 მუხლისა), ფაქტიურად კი ჩატარდა 2016 წლის 19 მაისს.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში 2017 წლის ოქტომბრამდე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ ატვირთულა, რითაც დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" 38-ე მუხლის მოთხოვნა (უნდა ატვირთულიყო არაუგვიანეს 10 დღის ვადაში).

შეცვლილია სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობები - სატენდერო დოკუმენტაციაში ატვირთული ხელშეკრულების პროექტის 2.7 მუხლით ინსპექტირება უნდა

განეხორციელებინა ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროს, ხოლო პროექტის 5.4 მუხლით ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენდა ა(ა)იპ ,,თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოს" დირექტორის მოადგილე. ფაქტიურად გაფორმებული ხელშეკრულებით, ინსპექტირების განხორციელება შემსყიდველის მხრიდან დავალებული ქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის თანამშრომელ რ.თოფურიას, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებით შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენდა შემსყიდველის მხრიდან, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი. აღნიშნულით დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" 33.1 მუხლის მოთხოვნა - ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, სატენდერო პირობებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად".

ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ წარდგენილია 29.12.2017წ. N2/562 წერილი, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის სახელზე შპს ,,ტრანსმშენი"-ს შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით. მიუხედავად ამისა, შპს ,,ტრანსმშენი" შავ სიაში დღემდე რეგისტრირებული არ არის.

არასაკმარისია ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე განხორციელებული ინსპექტირება და კონტროლი. წარმოდგენილია ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი შპს ,,გეომეფი"-ს მიერ ფარული სამუშაოებისა და სამუშაოების აღრიცხვის დოკუმენტაცია, მაგრამ მის მიერ სამუშაოების დასრულების სიმნელეებზე მხოლოდ 2017 წლის ოქტომბერშია სააგენტოსათვის ინფორმაცია მოწოდებული და ისიც, დიდი დაგვიანებით. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი შპს ,,ტრანსმშენი"-სა (,,მიმწოდებელი") და ა(ა)იპ ,,თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს (,,შემსყიდველი") შორის 2016 წლის 16 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N03/30/113 ხელშეკრულების მე-2 მუხლის (ხელშეკრულების შესრულების კონტროლი) და მე-10 მუხლის (მხარეთა უფლება-მოვალეობები) ფარგლებში შემსყიდველის მიერ განხორციელებული საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია - ინსპექტირებები და სხვა ღონისძიებები, რაც სააგენტოს მხრიდან ხელშეკრულების შესრულების არასაკმარის კონტროლზე მიანიშნებს.

სოფ.ფონიჭალაში საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით შემოწმების დასკვნა გადაგზავნილი იქნა აუდიტის სამსახურში დამატებითი შესწავლის მიზნით. მერიის აუდიტის სამსახურმა აღნიშნული საკითხი გადააგზავნა საქართველოს პროკურატურაში დამატებითი მოკვლევის მიზნით.

ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე"

შემოწმებით დადგინდა:

1. პრემიის გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ ცალკეული ბრძანებები არ მოიცავს ინფორმაციას თუ რა მიზეზით მოხდა ამა თუ იმ თანამშრომლის წახალისება.

2. შემოწმების პროცესში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების/მომსახურების ვადები არის ვადაგადაცილებული, თუმცა შემსრულებელთა მიმართ არ არის დაკისრებული პირგასამტეხლო.

3. შემოწმების პროცესში ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ აღემატება 30 დღით შესრულების ვადას, რითაც დარღვეულია ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები: „ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სულ მცირე, 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას".

4. სასახლეში მიმდინარე შესასრულებელ სამუშაოებზე არ კეთდება დეფექტური აქტები, რაც სასახლის ხელმძღვანელობამ მომავალში უნდა გაითვალისწინოს.

5. ასევე შესამოწმებელ პერიოდში „სასახლის"მიერ გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულ იქნა 9 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება CPV კოდით 92300000 - გასართობი მომსახურებები, აქედან 5 ხელშეკრულება 2017 წლის განმავლობაში (ჯამში 9800 ლარი), ხოლო 4 ხელშეკრულება 2018 წელს (ჯამში 5212,5 ლარი). შემოწმებით დადგინდა, რომ არცერთ ხელშეკრულებას არ ახლავს დეტალური კალკულაცია. ნებისმიერი მომსახურების შესყიდვის დროს საჭიროა დეტალურად იქნას გაწერილი (კალკულაცია), თუ რა სახის მომსახურების შესყიდვას ახორციელებს სასახლე.

6. სარევიზიო პერიოდში ცალკეულ შემთხვევებში მიღება-ჩაბარებების აქტებზე არ არის მითითებული აქტის შედგენის თარიღი.

7. 2018 წლის 19 თებერვალს შპს „თბილსერვის ჯგუფთან" გაფორმებულია N27 (1/18-167) ხელშეკრულება, რომელიც ეხება სასახლის ბალანსზე რიცხული უვარგისი ქონების განადგურება - დამარხვის მომსახურებას, რასაც საფუძვლად უდევს სასახლის დირექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის N73 ბრძანება.

2018 წლის 19 თებერვლის N33 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაირკვა, რომ ჩამოწერილი ქონების განადგურების მიზნით ნაგავსაყრელ პოლიგონზე დაიმარხა 175 სხვადასხვა დასახელების გამოსაყენებლად უვარგისი მატერიალურ-ფასეულობები, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაგავსაყრელზე გადაყრილად ნაჩვენებია ისეთი ნივთები, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა ჯართად. მაგალითად: რკინის კიბეები, რკინის მეტალო სექცია, სეიფი, ბურღი, დაზგა სადურგლო და სალესი დანადგარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ.თბილისის „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" ხელმძღვანელობას მიეცათ რეკომენდაციები.

ა.(ა).ი.პ„თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"

შემოწმებით დადგინდა:

შესყიდვები - შესამოწმებელ პერიოდში, დადებითად დასრულებული 27 ტენდერიდან, შესყიდვის საშუალება, ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT–ი გამოყენებულია მხოლოდ 1 შემთხვევაში. 2018 წლის დასაწყისიდან, 31 სექტემბრამდე, დადებითად დასრულდა 25 ტენდერი, რა დროსაც პრეტედენტმა, სავარაუდო ღირებულებაზე 20%-ზე ნაკლები შეთავაზებული ფასი დააფიქსირა 8 შემთხვევაში. (SPA 170016875; SPA 170016874; SPA 180000448; SPA 180001592; SPA180002931; SPA180004065; SPA 180005989; SPA 180006174). მათგან შესრულებულია 2, მიმდინარეა 3 და შეწყვეტილია 3 ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდის შესაბამის ველში, რიგ შემთხვევაში არ იყო ატვირთული მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები, როგორც ეს იყო გათვალისწინებული მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით. (CMR170210819; CMR180003964; CMR180003969; CMR180019352; CMR180130401). ამით დარღვეულ იქნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2017 წლის 14 ივნისის, N12 ბრძანების, 38-ე მუხლის მოთხოვნა, რაც ითვალისწინებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, სისტემის შესაბამის ველში, ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციის ატვირთვას მისი შესრულებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

2017 წელს, SPA 170015136 საფუძველზე, ლაბორატორისა და შპს „დიჯითის" შორის, მანქანების რეცხვის მომსახურეობაზე, გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება ღირებულებით 3 398,40 ლარი. სატენდენდერო დოკუმენტაციის, მუხლი 7.2. მოთხოვნით, მიღება–ჩაბარების აქტი უნდა გაფორმებულიყო მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი რეესტრის საფუძველზე, რაც არ იყო ატვირთული შესყიდვების სააგენტოს შესაბამის ველში. ჩამოთვლილი ნაკლოვანებები, რევიზიის მიმდინარეობის პერიოდში იქნა გასწორებული.

ადგილი აქვს რამდენიმე შემთხვევას, როცა მხარეებს შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი ხელმოწერილია მხოლოდ ერთი მხარის მიერ (CMR180003978; CMR180013325; CMR180008724; CMR180144167), ერთ შემთხვევაში მიღება–ჩაბარების აქტი დაუთარიღებელია (CMR170208485) და ერთ შემთხვევაში, (CMR170208582), მიღება–ჩაბარების აქტში მითითებული პირის ნაცვლად, მას ხელს აწერს სხვა პიროვნება.

2018 წლის 14 მარტს, კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების შესაძენად, გამოცხადებულ იქნა ელექტრონული ტენდერი, SPA180002935. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება რომ, პრეტედენტის მიერ შეთავაზებული წინადადება, არ შეესაბამებოდა სატენდერო პირობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა მისი დისკვალიფიკაცია არ მომხდარა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2017 წლის 14 ივნისის ბრძანე-ბა №12, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ": მუხლი 32, პუნქტი 1.ბ)–ს თანახმად: „პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო პირობებს".

2018 წლის 20 აპრილს, მექანიკური ჩარხების ნაწილებისა და აქსესუარების შესაძენად, გამოცხადებულ იქნა ელექტრონული ტენდერი, SPA180004063. შემსყიდველის მიერ, გამოცხადებული სატენდერო დოკუმენტაციის, ტექნიკური მონაცემების ცხრილის პირველ, მეორე, მესამე და მეხუთე პუნტში მოთხოვნილია კონკრეტული მწარმოებელი ფირმების („ინფრატესტის" და "memertis") მიერ გამოშვებული პროდუქცია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", მუხლი18.

ქვეპუნქტი 10-ის თანახმად: „დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს, ან მწარმოებლის მითითება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალება არ არსებობს, რაც უნდა დასაბუთდეს. ასეთ შემთხვევაში აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ტერმინი „მსგავსი" ან „ეკვივალენტური" და სხვა. დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი აღწერა, რომელიც ორაზროვანია და უშვებს სხვადასხვაგარი ინტერპრეტაციის შეასაძლებლობას".

2018 წლის 21 მაისს, ავტომანქანების დროებითი სადგომისათვის, ლითონის კონსტრუქციის მშენებლობისათვის, გამოცხდებულ იქნა ელექტრონული ტენდერი SPA180004864. შემსრულებელთან ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა 12 ივნისს და სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 10 ივლისის ჩათვლით. მხარეებს შორის, 11 ივლისს გაფორმებულ იქნა ურთიერთშეთანმების აქტი და სამუშაოების ღირებულება შემცირდა 12 777,73 ლარამდე. მიღება–ჩაბარების აქტი გაფორმებულია 12 ივლისს, რომელსაც თან ახლავს, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი, 10 ივლისით დათარიღებული ფორმა N2. ხელშეკრულების 8.1. პუნქტის თანახმად: „შესყიდვის ობიექტის მიღება – ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით." ამავე ხელშეკრულების 14.2. პუნქტის საფუძველზე: „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,01%–ის ოდენობით", რის საფუძველზეც შემსრულებელს უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო.

ანალოგიური სურათია ელექტრონული ტენდერი SPA180003608 შემთხვევაშიც, სადაც სამუშაოს დასრულების ვადად მითითებულია 26 მაისი. მხარეებს შორის, 31 მაისს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტის N1 თანახმად, სახელშეკრულებლო თანხა შემცირდა 19 260.56 ლარამდე, ხოლო სამუშაოების დასრულების ვადა გაიზარდა 1 ივნისამდე. მიღება-ჩაბარების აქტი N1 გაფორმებულია 4 ივნისს, სადაც შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 18 699,57 ლარი, რომელსაც თან ახლავს 26 მაისით დათარიღებული შესრულებული სამუშაოების ფორმა N2. ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.2. პუნქტის თანახმად, შესრულებელს უნდა დაკისრებოდა პირგასამტეხლო.

2018 წლის 20 აპრილს, საცრების კომპლექტის შესაძენად, გამოცხდებულ იქნა ელექტრონული ტენდერი SPA180004065. ხელშეკრულების პირობის თანახმად, საქონლის მოწოდების ვადად დადგენილ იქნა 05 ივლისი. ლაბორატორიის დირექტორის, 01 აგვისტოს N70-01182131392 წერილიდან ირკვევა შემდეგი: მომწოდებელმა 25 ივლისს წარმოადგინა საქონელი, რომელიც არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების 14.2. პუნქტის თანახმად, მომწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლი ხელშეკრულების ღირებულების 0,01%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (19,65 ლარი) და ხელშეკრულება იქნა შეწყვეტილი. ხელშეკრულების 15.3. პუნქტის თანახმად: ხელშეკრულების შეწყვეტისას, შემსყიდველს შეეძლო მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. აღსანიშნავია, რომ ნახსენები პუნქტის პირობაში, არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაცია, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს შემდეგს: „შემსყიდველმა ორგანიზაციამ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულობისათვის, შესაძლოა განსაზღვრონ პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო

ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით". შეწყვეტილი ხელშეკრულების მიუხედავად, 2018 წლის შემდგომ პერიოდში, საცრების კომპლექტის შესაძენად არ იქნა გამოცხადებული ახალი ტენდერი. ანალოგიური სურათია ელექტრონული ტენდერი SPA180005989 შემთხვევაშიც, როცა მომწოდებელმა ვერ მოაწოდა ა/ბეტონის ნიმუშების ამოსაღები მისაბმელი დანადგარი. როგორც მისი წერილიდან ირკვევა, მის მიერ მწარმოებლისათვის გადარიცხული თანხა, თაღლითური გზით მოხვდა სხვა საბანკო ანგარიშზე და შსს ცენტრალური კრიმინალი პოლიციის შეასაბამის განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება. ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნა და 14.2. პუნქტის საფუძველზე, (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში - ხელშეკრულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით), `შემსრულებელი დაჯარიმებულ იქნა მხოლოდ 9,45 ლარით. ზემოთ მოყვანილი შემთხვევის მსგავსად, შემსყიდველი მხარის მიერ, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში, ამ შემთხვევაშიც არ იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაცია.

2018 წელს შემოწმებული იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის, ნაძალადევის, საბურთალოს, ისნის და კრწანისის რაიონის გამგეობების მიერ 2016-2017 წლებში გაწეული საქმიანობა

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება-ანალიზის დასკვნებიდან გამომდინარე აღმოჩენილი იქნა ანალოგიური ხასიათის შენიშვნა ნაკლოვაებები, რომლებზეც გამგეობებს სარევიზიო კომისიის მიერ მიეცათ რეკომენდაციები.

გამგეობებში გამოვლენილი დარღვევები:

მიმწოდებლის მხრიდან სატენდერო პირობების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევებზე არ ხდება სათანადო და დროული რეაგირება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიების და საჯარიმო სანქციების მოთხოვნა, არ ხდება შესრულებული სამუშაოებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმება, არ ხდება შესასრულებელი სამუშაოს გამოცდილების მოთხოვნა რეალობიდან გამომდინარე, ხშირია სამართლებრივი საფუძველის გარეშე ხელშეკრულებების 10%-ით გაზრდის, პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია უმნიშვნელო ფაქტორების გამო, შესრულებული სამუშაოების მოცულობების ცვლილებებზე არ არის შეთანხმების აქტები, სამუშაოების მიღება-ჩაბარებებზე არ არის აკრედიტირებული ექსპერტის ან ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის დასკვნები, წუნდებულად დაგებულ გზებზე არ ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეაგირებები, სახელმწიფო ქონების დაცვას და მის მოვლა პატრონობას არ ექცევა სათანადო ყურადგება, გამგეობის მიერ უფასო სასადილოების მონიტორინგისა და სოციალური პროგრამების განხორციელების მიმართულებით არ ხდება სათანადო კონტროლი და რეაგირება, ზოგ შემთხვევებში არ არის დაცული დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის თანხების გაცემის წესი, ხშირ შემთხვევებში კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების დოკუმენტაცია არასრულყოფილია, შემოწმების მასალებით არ ჩანს გამგეობის მიერ გამოყოფილი (დახმარება) სამშენებლო მასალების მიზნობრიობა, სათანადო ყურადღება არ ექცევა სოციალური დახმარებებს, თანხების განაწილებას და საჩუქრების გაცემას.

ყველა დარღვევა ნაკლოვანებებზე გაცემული იქნა რეკომენდაციები:

1. მომწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევებში, გავრცელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები და საჯარიმო თანხების ამოღების მიზნით, საბანკო გარანტიასთან ერთად, გამოყენებული იქნას გამოქვითვის მეთოდი, შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან.

ასევე გამგეობის მიერ, მომწოდებელთან დადებულ ხელშეკრულებებში, რიგ შემთხვევებში არ არის განსაზღვრული სანქციის სახე, მომწოდებლების მიმართ, რომლებმაც საერთოდ არ შეასრულეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულება (შესასრულებელი სამუშაო), რის გამოც აუცილებელია ხელშეკრულებებში გამოყენებული იქნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრავს სანქციის სახეს, ვალდებულებების შეუსრულებლობისას.

2. დაცული იქნეს სახელმწიფო შესყიდვების კანონით, სატენდერო პირობებით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები (მათ შორის სამუშაოს შესრულების ვადები, მოთხოვნილი ექსპერტიზები, საბანკო გარანტიები და სხვა).

შესაბამისი განყოფილებების მიერ, მკაცრად მოხდეს შესრულებული სამუშაოებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა. ვინაიდან, თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო თანხების ზედმეტად და უყაირათოდ გადინება.

3. მოწესრიგდეს გამგეობის საქმიანობა, ტენდერითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო გარანტიების მოთხოვნა-წარდგენისა და ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციების შესყიდვების სააგენტოს ინტერნეტგვერდზე განთავსების კუთხით.

4. გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მოთხოვნილი გამოცდილება არ შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოების მოცულობებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგ შემთხვევებში შესასრულებელი სამუშაო უფრო მეტი ღირებულებისაა, ვიდრე მოთხოვნილი გამოცდილება, ზოგში კი პირიქით გამოცდილების მოთხოვნა, ბევრად აჭარბებს შესასრულებელ სამუშაოს ღირებულებას.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეფასება მოხდეს, შესაბამისად შესასრულებელი სამუშაოს რეალობიდან გამომდინარე.

5. სისტემატიურ ხასიათს ატარებს მოცულობითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ხელშეკრულებების 10%-ით გაზრდა, სამართლებრივი საფუძველის გარეშე.

აღნიშნულზე საჭიროა, დაცული იქნას საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლის" მოთხოვნები და 10%-ის გაზრდის გამოყენება მოხდეს სამართლებრივ საფუძველზე, შესაბამისი გარემოებების არსებობისას.

6. ტენდერის შედეგების შეფასებისას პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია არ განხორციელდეს უმნიშვნელო ფაქტორების გამო („ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სატენდერო კომისია არახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს").

7. გზების მოვლა-შეკეთების სამუშაოებისას, შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდეს, მიმწოდებლის მიერ ნაზარდი ფორმა N2-ის წარმოდგენის შემდეგ.
8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული დასახელების სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო მოცულობებსა და ფაქტიურად, ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ცვლილება, დაკორექტირდეს შეთანხმების აქტებით.
9. ინფრასტრუქტურული (კეთილმოწყობის) სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდეს, აკრედიტირებული ექსპერტის ან ა(ა)იპ მუნიციპალური ლაბორატორიის დასკვნის საფუძველზე.

10. აუცილებელია, ლაბორატორიის მიერ „წუნდებულად აღიარებულ" დაგებულ გზებზე მოხდეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული და კანონით განსაზღვრული რეაგირებები.
11. სამუშაოს (საქონლის, მომსახურების) გამარტივებული შესყიდვის დროს, მაქსიმალურად იქნეს მოკვლეული და შესწავლილი ბაზარი და შესყიდვის სავარაუდო ღირებულება. შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ანალოგიური სამუშაოს (საქონლის, მომსახურების) სატენდერო შესყიდვისას დაფიქსირებულ ფასთან, რაც უზრუნველყოფს ფასის რეალობას და ბიუჯეტის რაციონალურ ხარჯვას.
12. ერთი და იგივე სამუშაოს (საქონლის, მომსახურების) განსხვავებული ფასებით შესყიდვის თავიდან აცილების მიზნით, გამგეობის მიერ, გამოყენებული იქნას მერიის მიერ დაგენილი ზღვრული ფასები.
13. მეტი ყურადღება მიექცეს სახელმწიფო ქონების დაცვას და მის მოვლა პატრონობას (სპორტული მოედნის ღობეები).
14. გაუმჯობესდეს გამგეობის საქმიანობა, უფასო სასადილოების მონიტორინგისა და სოციალური პროგრამების განხორციელების მიმართულებით.
ასევე უფასო სასადილოებში აღმოჩენილ დარღვევებზე, განხორციელდეს კანონით განსაზღვრული რეაგირებები.
15. დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის თანხების გაცემისას, დაცული იქნას ,,დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესი. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული წესის მე-9 მუხლის ,,კომპენსაციის გაცემის განსაკუთრებული წესი"-ს გამოყენებაზე დაწესდეს ზღვარი და ამ მუხლით დაკმაყოფილებული ბენეფიციარების მოცულობა არ აღემატებოდეს საერთო ბენეფიციარების 20%-ს.
16. სამშენებლო მასალების გამოყოფის სარეკომენდაციო ოქმებს დაერთოს სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და გამგეობის მიერ, გაკონტროლდეს გამოყოფილი სამშენებლო მასალების გამოყენების მიზნობრიობა.
17. კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამით განხორციელებული თვითოეული ღონისძიებების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტებს დაერთოს კონკრეტული ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებული დეტალური ანგარიში, დოკუმენტაციის დართვით.
18. გამგეობის მიერ უმჯობესია სააღდგომო საჩუქრების გაცემამდე, გადამოწმდეს სოციალური სააგენტოს ამონაწერის რეალობა, ოჯახში მაცხოვრებელთა სულადობის დასადგენად.

უმწეო მოქალაქეებზე, სხვა სოციალური დახმარების გაცემისას, თანხების განაწილება მოხდეს მეტი სამართლიანობით და თანაბრად.

ასევე მოსახლეობისთვის შეშის გადაცემის დროს, გამგეობის თანამშრომლებმა უნდა შეადგინონ ზუსტი და სრულყოფილი დოკუმენტაცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებმა აღნიშნეს რომ, იზიარებენ წარმოდგენილ შენიშვნებს და მომავალშიც გაითვალისწინებენ სარევიზიო კომისიის რეკომენდაციებს.

მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს შესამოწმებელ პერიოდში სულ გაწეული აქვს 236 110 237 ლარის საკასო ხარჯი, აქედან 2016 წელს 66 251 444 ლარი, 2017 წელს 131 052 748 ლარი, 2018 წლის პირველ ნახევარში 38 806 045 ლარი .

2016, 2017 და 2018 წლის 6 თვის საანგარიშო პერიოდში სულ უფასო და შეღავათიანი ტარიფით გადაყვანილი მგზავრები:

	2016	2017	2018 (6 თვე)
მეტრო,ავტობუსი,საბაგირო	142 207 818	149 784 079	129 491 213
მიკროავტობუსი	9 431 876	9 183 721	4 459 342
სულ	151 639 694	158 967 780	133 950 555

1. ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M2 (მიკრო ავტობუსი), M3 (ავტობუსი) კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო და საბაგირო გადაყვანის მომსახურების განმახორციელებელი და ნებართვის მფლობელი ყოველი თვის დამთავრების შემდეგ, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს წარუდგენს ინფორმაციას (წერილობითი ფორმით) შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის და ბიუჯეტიდან ასანაზღაურებელი თანხის შესახებ, რომელსაც თანდართული აქვს მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M2, M3 კატეგორიის ავტობუსებით შეღავათით მოსარგებლე გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის შესახებ შედარების ოქმი, რომელსაც ადასტურებს ერთ შემთხვევაში მომსახურების განმახორციელებელი (შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“) და შპს „მეტროსერვის+“, ხოლო მეორე შემთხვევაში M2 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელი (1.შპს „კაპიტალ გრუპ“, 2. შპს „ფაბლიქ ქარ“, 3. შპს „თბილ ლაინ“, 4. შპს „თბილ ქარ“) და შპს „მეტროსერვის+“.

(ტრანზაქციების გატარებას და შესაბამისი კომპანიებისათვის შემდგომ ანგარიშსწორებას ახორციელებს კომპანია შპს მეტროსერვის+).

არ ჩანს თუ რა კონტროლის მექანიზმი გააჩნია მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს შპს-ების მიერ მასთან წარდგენილ ინფორმაციაზე, კერძოდ შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტობრივად გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის სიზუსტეზე და ამ მომსახურებაზე ბიუჯეტიდან ასანაზღაურებელ თანხებზე (132 323 822 ლარის საკასო ხარჯი გაწეულია მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), M3 კატეგორიის ავტობუსებით და საბაგირო გზით გადაყვანისათვის მომსახურებაზე, თანხა გადარიცხულია შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაზე“, ხოლო 6 309 749 ლარის საკასო ხარჯი

გაწეულია M2 კატეგორიის ავტობუსებით შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის, თანხა გადარიცხულია ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსში გამარჯვებულ 4 (ოთხ) ფირმაზე).

ვინაიდან არის შემთხვევა, როდესაც 2017 წლის 9 ივნისის ,,M3 კატეგორიის ავტობუსებით 2017 წლის აპრილის თვეში უფასოდ გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის და მომსახურების თანხების შედარების" ოქმის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს შპს ,,მეტროსერვის+"ის და შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-ის წარმომადგენელი დამატებით კიდევ გადარიცხული იქნა შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია"-ზე 691 336 ლარი (1 618 393- მგზავრთა რაოდენობა, რომელიც დაზუსტებული იქნა 3 001 065 რაოდენობით).

2. 2017 წლის 13 თებერვალს გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი (NAT170001468) ქალაქ თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე თერმო და ცივი პლასტით საგზაო მონიშვნის მომსახურების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 997 450 ლარი, რომელსაც პრეტენდენტის არ არსებობის გამო მიენიჭა სტატუსი - ,,არ შედგა". ამ ტენდერის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო სამუშაოები შემდეგი მოცულობებით:

თერმოპლასტი	3000 მ² (51,25ლ)
ცივიპლასტი	33 000მ² (24,99ლ)
ერთკომპონენტიანი	500მ² (16,5ლ)
თერმო და ცივიპლასტის ძველი საღებავის წაშლა	400 მ² (26,5ლ)

ამის შემდეგ აღნიშნულ სამუშაოებზე 2017 წლის 7 აპრილს გამოცხადებული იქნა (მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის ბაზრის კვლევის საფუძველზე) ელექტრონული ტენდერი, აუქციონის გარეშე (NAT170003882), სავარაუდო ღირებულებით 985 120 ლარი, რომლის ხარჯთაღრიცხვით, მოცულობები ,,არ შემდგარ" ტენდერის ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულ მოცულობებთან შედარებით განსხვავდება, კერძოდ:

თერმოპლასტი	6000 მ² (45,27)
ცივიპლასტი	14 000მ² (49,65)
ერთკომპონენტიანი	500მ² (16)
თერმო და ცივიპლასტის ძველი საღებავის წაშლა	400 მ² (26)

ანუ თერმოპლასტი 3000 მ² - ით მეტი და ცივიპლასტი 19 000 მ² - ით ნაკლები.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა რიგი დარღვევა-ნაკლოვანებები, რომლებზედაც მიეცათ რეკომენდაციები კერძოდ:

1. გაუმჯობესდეს საფინანსო საქალაქო სამსახურის საქმიანობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური ანგარიშგების დადგენილ ვადებში შედგენისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის კუთხით;

2. საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება განხორციელდეს კანონით დადგენილი ვადებისა და პროცედურების დაცვით;

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის ორგანიზაციული კოდით 10.03 გაწეული ხარჯი შესაბამისობაში იყოს დატკიცებულ გეგმასთან და საჭიროების შემთხვევაში ცვლილება განხორციელდეს მხოლოდ დამტკიცებულ გეგმაში სათანადო ცვლილების შეტანით;

4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს/მომსახურების მიწოდება განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი, შპს „ჰერმესი"

შემოწმებით დადგინდა:

1. **იჯარა** - 2016 წლის 5 აგვისტოს, ზურა ექიზაშვილთან გაფორმებულ იქნა N-1-19923 ხელშეკრულება, რომლის თანახმად წლიურმა საიჯარო ქირამ 5 562 ლარი შეადგინა. (დღგ-ს ჩათვლით). ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. პუნქტის თანახმად, მეიჯარეს ანგარიშსწორება უნდა გაეხორციელებინა ყოველ სამ თვეში წინასწარი გადახდის წესით. საიჯარო ქირის გადუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევისთვის, ხელშეკრულების 2.6. პუნქტით გათვალისწინებული იყო საჯარიმო სანქცია, კერძოდ: „მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, დავალიანების 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე". წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მეიჯარე პერიოდულად აგვიანებდა საიჯარო ქირის გადახდას, რის გამოც 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით, მას გადასახდელად ერიცხებოდა ძირითადი თანხა 4 171,50 ლარის, ხოლო საურავი კი - 729,59 ლარის ოდენობით. სარევიზიო ჯგუფის მიერ, დავალიანების დაფიქსირებისა და მითითების მიცემის შემდგომ რევიზიის მიმდინარეობისას, მეიჯარის მიერ სრულად იქნა დაფარული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხა.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

1. ავტობგუსების ავტობაზის მშენებლობა

2016 წლის 24 მარტს შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ გამოცხადებული იქნა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება: 13.07.2016- N27.03.588, 27.07.2016- N29.18.644, 26.12.2016- N50.05.1051, 29.03.2017- N12.05.201) ელექტრონული ტენდერი (SPA160009696) ქ.თბილისში, დ/დიღომში, ყოფილი ტელევიზორების ქარხნისა და მე-4 მკ/რაიონის მე-5 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, მუნიციპალური ავტობუსების ავტობაზის (დ/დიღმის ავტობაზა) მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 13 900 000 ლარი.

2016 წლის 30 ივნისს ტენდერში გამარჯვებულ ფირმასთან შპს ,,დაგი"-თან გაფორმებული იქნა ხელშეკრულება სამუშაოს ღირებულებით 13 323 774,05 ლარი. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით სულ შესრულებული იქნა 13 231 613,81 ლარის სამუშაოები. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებული იქნა 2017 წლის 18 აგვისტოს. შპს ,,დაგი" სამუშაოს შესრულების ვადის დარღვევისათვის შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ დაჯარიმებული იქნა 65 490,65 ლარით. შპს ,,დაგზე" სულ გადარიცხული იქნა 13 166 123,13 ლარი (მათ შორის 5 329 509 ლარი ავანსის სახით 40%).

სამუშაოს განხორციელების პროცესში (სამ თვეში) გამოვლენილი იქნა ბეტონის საფარის დაზიანებები (46 370 კვ.მ თანხით -1 409 266,00 ლარი).

გამოვლინდა შემდეგი დარღვევები: სამსახურის მიერ აღნიშნული დაზიანების აღმოფხვრის მიზნით დამატებით მიმწოდებელზე გაცემული იქნა 50 730,00 ლარი (დღგ-ს გარეშე), ხელშეკრულებიდან გამომდინარე აღნიშნული ხარჯი უნდა გაეწია მიმწოდებელს. არ არის გამოყენებული საგარანტიო თანხა 200 000,00 ლარის ოდენობით, ასევე 666 188,70 ლარი (5%) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2.5% - 333 094,00 ლარი. არ არის ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა რაც გამოავლენდა სამუშაოების შესრულების ხარვეზს და საჯარიმო სანქციების ათვლა დაიწყებოდა სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადის დასრულების დღიდან, რასაც ითვალისწინებდა ხელშეკრულების პირობები.

ჩვენი შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამო, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით უნდა დანიშნულიყო შესაბამისი ექსპერტიზა ხარვეზების დეტალური შესწავლის და გამოსწორების მიზნით.

ასევე თუ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა მშენებლის მიერ სამშენებლო სამუშაოების ხარვეზით შესრულება, ხელშეკრულების 9.8 პუნქტის შესაბამისად კომპანიამ უნდა მოახდენოს საურავის დაანგარიშება, სამშენებლო სამუშაოების დასრულების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადიდან.

2. მეტროს მოძრავი შემადგენლობის ვაგონების მოდერნიზაციის მომსახურება

შესამოწმებელ პერიოდში **მეტროს მოძრავი შემადგენლობის ვაგონების მოდერნიზაციის** მომსახურების შესყიდვაზე (განკარგულება 30.03.2016 N12.14.278, 29.03.2017N12.05.201, 27.12.2017 N01.02.02) სს ,,ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანა ფილიალთან" გაფორმებული იქნა 7 (შვიდი) ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესამოწმებელ პერიოდში სულ გაწეულია 27 893 529 ლარის საკასო ხარჯი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვაგონების შეკეთების ღირებულებები არ არის ჩაშლილი შესასრულებელი კონკრეტული სამუშაოებისა და შესაცვლელი დეტალების მიხედვით, ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულია მხოლოდ მთლიანი ღირებულებები.

მაშინ როდესაც შესყიდვის სავარაუდო ფასები წარმოდგენილი ინფორმაციით აღებული იქნა სს ,,ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანა"-ის (რომლის 50% წილის მფლობელია შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანი") მიერ წარმოდგენილი ვაგონების მოდერნიზაციის დანახარჯისა და კალკულაციის მიხედვით, სადაც მაგალითად: სათაო ვაგონის მთლიანი დანახარჯი თანხაში შეადგენს 1 044 536 ლარს, მათ შორის: მასალები 748 047 ლარი (მასალა 338 დასახელების) ხელფასი (ადმინისტრაციის ჩათვლით) 75 000 ლარი, ზედნადები ხარჯი 20 000 ლარი, სრული თვითღირებულება დღგ-ს გარეშე 843 047 ლარი, მოგება 5% 42 152 ლარი, ვაგონის სარეალიზაციო ფასი დღგ-ს გარეშე 885 200 ლარი, ვაგონის სარეალიზაციო ფასი დღგ-ს ჩათვლით 1 044 536 ლარი.

748 047 ლარის დანახარჯი (მასალების) კალკულაციით შედგება 338-მდე დასახელების მასალის ღირებულებისაგან, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციის მომსახურების ხარჯთაღრიცხვაში ერთეული ვაგონის მოდერნიზაციის ღირებულება განსაზღვრულია ჯამით (1 044 536 ლარი), ხოლო აქტებში შესაბამის ვაგონებზე გაწეული მომსახურების შესახებ, ტექნიკური დავალების მიხედვით ჩატარებული ვაგონის სერიოზული სქემურ-აპარატურული მოდერნიზაციისას ფიქსირდება 21 დასახელების აპარატის მონტაჟი ერთეულის ღირებულებების, ცალკეული გამოყენებული მასალების რაოდენობის, შრომის დანახარჯების და მათი ღირებულებების გარეშე. არ ჩანს ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობა.

3. ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბის საბაგირო გზის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები

2016 წლის 18 იანვარს შპს ,,ბაგირმშენთან" (SPA150030205) ,,ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბის" საბაგირო გზის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული იქნა 1 100 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება N0300/31/018.

ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმებით ხარჯთაღრიცხვით (ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში) განისაზღვრა 2 ცალი ,,სამგზავრო ვაგონების რემონტი, დაკომპლექტება" ერთი ცალის ღირებულებით დანარიცხების გარეშე 38 000 ლარი, ორივე ჯამში 76 000 ლარი, რომელიც არ იყო განსაზღვრული თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვით.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი რომ ერთი ცალი ,,სამგზავრო ვაგონების რემონტი, დაკომპლექტების" ღირებულება, რომელიც შედგება 38 000 ლარით არ არის ჩაშლილი ხარჯების მიხედვით ხარჯთაღრიცხვაში ასახულია ერთეულის კომპლექტის ღირებულებით 38 000 ლარი.

4. იჯარა

ფულადი სახსრების მოძრაობის განყოფილების მიერ იჯარებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციით 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება (ძირითადი დავალიანება) გააჩნია 8 ორგანიზაციას ჯამში ძირი თანხის სახით 636 584,6 ლარი, და პირგასამტეხლოს სახით 226056,8 ლარი.

რეკლამა

ფულადი სახსრების მოძრაობის განყოფილების მიერ რეკლამით მომსახურებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციით 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება (ძირითადი დავალიანება) გააჩნია 10 ორგანიზაციას ჯამში ძირი თანხის სახით 40445,07 ლარი და პირგასამტეხლოს სახით 8812,8 ლარი.

კაბელები

ფულადი სახსრების მოძრაობის განყოფილების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საკაბელო ხაზის გატარებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დებიტორული დავალიანება (ძირითადი დავალიანება) გააჩნია 4 ორგანიზაციას ჯამში ძირი თანხის სახით 170723,78 ლარი და პირგასამტეხლოს სახით 64577,59 ლარი.

უნდა ხდებოდეს კანონით განსაზღვრული დროული რეაგირებებიშ.პ.ს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის'' საკუთრებაში/უსასყიდლო სარგებლობაში არსებული ქონების დროებით სასყიდლიანი (იჯარა და სხვა) უფლებით სარგებლობის დროს, ვინაიდან თავიდან იქნეს აცილებული საიჯარო ქირის დავალიანების ზრდა, რაც უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"

ქ.თბილისის სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" შესამოწმებელი პერიოდი მოიცავდა 2016 წლის 01 ოქტომბრიდან 2018 წლის 01 ივლისამდე პერიოდს.

1. ავტომანქანების დაზღვევის ხელშეკრულება ყოველ წელს ფორმდება დაგვიანებით ასე მაგალითად 2016 წელს ხელშეკრულება გაფორმდა 2 მარტს სამი თვის დაგვიანებით, 2017 წელს 20 თებერვალს 50 დღის დაგვიანებით, ხოლო 2018 წელს 19 დღის დაგვიანებით.

ინვენტარიზაცია

საინვენტარიზაციო კომისიამ ინვენტარიზაციის ჩატარების დროს დაუშვა შეცდომა, კერძოდ: აღწერა „ცენტრში" არსებული ინვენტარი და თითოეულ ოთახის აღწერაზე შეადგინა შესაბამისი აქტი და განისაზღვრა პასუხისმგებელი პირი, მაგრამ მათთან არაა შესაბამისი წესით გაფორმებული ხელშეკრულება, რითაც დაიღვა **საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის - „ინვენტარიზაციის ჩატარების საერთო წესები", მე-12 პუნქტის - „საინვენტარიზაციო კომისია", „ა" ქვეპუნქტის - „ ახორციელებს არაფინანსური და ფინანსური აქტივების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების აღწერას, ადგილმდებარეობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით, ხოლო მატერიალური პასუხისმგებელი პირის არ არსებობის შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ, როგორც მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა, მიეთითება აქტში და საინვენტარიზაციო აღწერა განხორციელდება ადგილმდებარეობის მიხედვით.** რაც საინვენტარიზაციო კომისიას, 2016-2017 წლის აქტებში არ აქვს მითითებული.

ასევე, „ცენტრის“ მატერიალური ფასეულობების ნაწილზე არის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, თუმცა მათთან **საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით** დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად - **„მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან დადგენილი წესით იდება წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“** - არ აქვს გაფორმებული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ წერილობითი ხელშეკრულება.

2018 წელს საკრებულოს სარევიზიო კომისია სისტემატიურად ღებულობდა (სამი თვის ვადით) სტუდენტებს და უმაღლეს დამთავრებულებს სტაჟირებაზე, რომლებიც აქტიურად ჩართული იყვნენ და მონაწილეობას იღებდნენ ორგანიზაციების შემოწმებაში, რის შემდეგაც მათ დადებითი დახასიათების საფუძველით გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

სარევიზიო კომისიის მიერ, ყველა შემოწმებული ორგანიზაციების შემოწმება-ანალიზის დასკვნები, კომისიაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, იგზავნება დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული შემოწმებების და დასკვნების შედეგად აღმოჩენელი დარღვევები, ორგანიზაციების მიერ ხშირად არის გათვალისწინებული რეკომენდაციების სახით, რასაც ადასტურებს დასკვნებთან დაკავშირებით შემოწმებული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ისახება მათ გამოსწორებულ საქმიანობაზე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე — რიმა ბერაძე